# გაუმარჯოს საბჭოთა აჭარას!

**საბჭოთა აჭარა 50 წლისაა**


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან • № 162 (15072)

16 ივლისი პარასკევი 1971

ფასი 2 კაპ.


**მოგილოცავთ, დღესასწაულს, ძვირფასო მეგობრებო!**

## ბრძანებულება

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა**

**აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დაჯილდოების შესახებ**

კომუნისტურ მშენებლობაში მიღწეული წარმატებებისათვის და აჭარის ასსრ შექმნის 50 წლისთავთან დაკავშირებით აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა დაჯილდოვდეს ოქტომბრის რევოლუციის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. პოდგორნი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი
1971 წლის 15 ივლისი



# ზეიმობს საბჭოთა აჭარა

**ბათუმი, 15 ივლისი. (საქინფორმის სპეც. კორ.).** შესრულდა აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის 50 წელი.

განვლილმა ნახევარმა საუკუნემ თვალნათლივ დაადასტურა, რომ ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების შედეგად მეფის რუსეთის ერთ-ერთი ყველაზე ჩამორჩენილი და ჩაგრული კუთხე აჭარა გადაიქცა აყვავებულ ავტონომიურ რესპუბლიკად.

ამიტომ ახლანდელი იუბილე აჭარის თვითეული მშრომელის ცხოვრებაში უდიდესი და ნათელი დღესასწაულია, ამიტომ ასე მორთო და მოიკაზმა ბათუმი, ამიტომ დღეს ესოდენ ბევრი ყვავილი და ღიმილია აქ.

14 ივლისს საიუბილეო ზეიმში მონაწილეობის მისაღებად აჭარას ეწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. მჟავანაძე.**

მასთან ერთად ჩამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველი მდივანი **ო. ლოლაშვილი,** წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი **ა. კობაიძე,** თბილისის ელმავალსაშენებლო ქარხნის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი **ვ. პაპინაშვილი,** კომპოზიტორი **რ. ლაღიძე.**

ბათუმში მომავალმა ვ. მჟავანაძემ გზად შეიარა ხულოს, შუახევის, ქედის, ხელვაჩაურის რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ბეშუმის პიონერთა ბანაკში. ამხ. მჟავანაძე საქმიანად ესაუბრა აჭარის მაღალმთიანი რაიონების მშრომელებს, მიულოცა დიდი დღესასწაული და უსურვა შემდგომი წარმატებანი შრომასა და ცხოვრებაში.

15 ივლისს ვ. ი. ლენინის სახელობის მოედანზე ბათუმში თავი მოიყარეს ბათუმის, ავტონომიური რესპუბლიკის რაიონების მშრომელთა წარმომადგენლებმა, აჭარის ხელმძღვანელმა პარტიულმა, საბჭოთა, კომკავშირულმა და პროფკავშირულმა მუშაკებმა, დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად ჩამოსულმა სტუმრებმა. აქ გვირგვინებით შეამკეს ვ. ი. ლენინის ძეგლი.

საპატიო ყარაული გარინდულა ბელადის ძეგლის კვარცხლბეკთან. ბელადის სახელს უკავშირებენ აჭარის მშრომელნი მთელ თავიანთ მიღწევებს, თავიანთ ბედნიერ ცხოვრებას.

ვ. მჟავანაძემ და ო. ლოლაშვილმა გვირგვინით შეამკეს ძეგლი. გვირგვინზე წარწერილია „დიდ ბელადსა და მასწავლებელს ვ. ი. ლენინს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოსაგან".

შემდეგ საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ა. თხილაიშვილმა** და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **ლ. დავითაძემ** გვირგვინებით შეამკეს ძეგლი აჭარის მშრომელთა სახელით. ძეგლი გვირგვინებით შეამკეს აფხაზეთის წარმომადგენლებმა — პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ვ. კობახიამ,** სოციალისტური შრომის გმირმა **ტ. ჩაჩიბაიამ,** პროფესორმა **გ. ძიძარიამ,** სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლებმა — პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **გ. ჯუსოევმა,** გაზეთ „სოვეტონ ირისტონის" რედაქტორმა **ა. ქუმარიტოვმა,** საქართველოს კომპარტიის ზნაურის რაიკომის პირველმა მდივანმა **გ. თხელიძემ.**

ძეგლი გვირგვინებით შეამკეს საქართველოს ქალაქებისა და რაიონების დელეგაციებმა, აგრეთვე საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის წარმომადგენლებმა, რომლებიც აჭარაში ჩამოვიდნენ ზეიმში მონაწილეობის მისაღებად.

ვ. მჟავანაძე და საიუბილეო ზეიმის მონაწილენი დაესწრნენ აჭარის მხატვართა ნამუშევრების საიუბილეო გამოფენის გახსნას.

შემდეგ ვ. მჟავანაძე და სტუმრები გაემგზავრნენ ქობულეთის რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სადაც გაიმართა შეხვედრები აჭარის სოფლის მეურნეობის მშრომელებთან.

ამავე დროს ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა პარკში და ზღვისპირა პარკში გაიმართა მასობრივი სეირნობა. გვიანობამდე გაისმოდა მგზნებარე სიმღერები აღორძინებული მხარისა, რომელიც სახელოვან 50 წლისთავს ზეიმობს.



ამხანაგი ვ. პ. მჟავანაძე ხულოს რაიონის სოფელ რიყეთის სკოლის პიონერებს გადასცემს სამახსოვრო ნიშნებს.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

## მიყვარს

**გიორგი სალუქვაძე**

მე მიყვარს
მიმოზის ახალი ყლორტები,
მე მიყვარს
აჭარის მოლურჯო კორდები,
მე მიყვარს
ჭოროხის ქვებიც და ლოდებიც,
მე მიყვარს
ზეცასთან მიდგმული ოდები.
დაცვარულ მტევანთა მარცვლებში
მზე მოჩანს.
აღდგენილ სიცოცხლეს არ უჩანს
სასრული.
ტაძართა, ციხეთა ნანგრევით
შემოგვრჩა,
ტბელის და რუსთველის ქართულით
შემოგვრჩა,
დამარხულ მარნით და საწნახლით
შემოგვრჩა,
და იავნანათი შემოგვრჩა წარსული.
მე მიყვარს
მიმოზის ახალი ყლორტები,
მე მიყვარს
აჭარის მოლურჯო კორდები,
შენ, სულო უდრეკო,
შენ, გულო ზვიადო,
არასდროს, არასდროს მოკვდები!

## დღეს ბათუმში

**დღეს** დილის 11 საათზე ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართება:

**საქართველოს კომუნისტური პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს საიუბილეო საზეიმო სხდომა, რომელიც ეძღვნება აჭარის ასსრ 50 წლისთავს.**

## სახელოვანნი



ქეთევან გოგიტიძე პატარაობიდანვე დაეუფლა ჩაის ფოთლის კრეფის ტექნიკას ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათის კოლმეურნეობაში. სულ მალე საქვეყნოდ გაითქვა სახელი და ჩაის ფოთლის უხვი მოსავლის მიღებისათვის მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება. ახლაც წარმატებით შრომობს კოლმეურნეობაში.



ბახვა ჭყონიას სამაგალითო შრომითი გამოცდილება მარტო საკუთარი საწარმოს — ბათუმის ელექტრომექანიკური ქარხნის კოლექტივის საკუთრება როდია. ამ უნივერსალ ხარატს ბევრი მიმდევარი ჰყავს ქალაქის სამრეწველო საწარმოთა სხვა კოლექტივებშიც. მოწინავე ხარატი კარგად შრომობს და აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწევა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატია.

საბჭოთა აჭარის 50 წლისთავის იუბილეს ღირსეულად შეხვედრისათვის გაშლილი შეჯიბრება დასრულდა. მოწინავე ხარატი ბ. ჭყონია მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით ხვდება ამ სახელოვან თარიღს.



საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ტანკერ „ალექსეენკაზე" ბოცმანად მუშაობს კ. ოსაძე. მსოფლიოს რომელ ზღვასა და ოკეანეში არ უცურავს ამ მამაც მეზღვაურს. სტიქიასთან, სიძნელეებთან ბრძოლით მოიპოვა მან დიდი ავტორიტეტი მეზღვაურთა შორის. კ. ოსაძის შრომითი თავდადება დაფასდა, მას სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.

ფოტო შ. ბრიმჩენკოსი და ნ. ანასტასიევისა.

# მრავალჟამიერ, მზიურო აჭარავ!

საბჭოთა აჭარის ნახევარსაუკუნოვანი იუბილე ჩვენი საერთო დღესასწაულია, მთელი საბჭოთა საქართველოს ზეიმია, ჭეშმარიტი ზეიმი ყოველი ქართველისა, სადაც უნდა იყოს იგი.

გაუმარჯოს ჩვენი გულის ნაწილს, ჩვენს სისხლსა და ხორცს — ჩვენს დიდებულ საბჭოთა აჭარას.

**ირაკლი აბაშიძე,**
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, პოეტი-აკადემიკოსი.

საბჭოთა აჭარა 50 წლისაა. ნახევარი საუკუნის მანძილზე საქართველოს ამ მშვენიერმა კუთხემ დიდი ნაბიჯი გადადგა პროგრესის გზაზე. თანაბრად აყვავდა და გაიფურჩქნა მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, აღიზარდა შესანიშნავ სპეციალისტთა თაობები.

მივესალმები მზიური აჭარის მშრომელებს, ვულოცავ ავტონომიური რესპუბლიკის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს და კვლავაც გამარჯვებათა გზით სიარულს ვუსურვებ მათ ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

**ზ. სარალიძე,**
თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებლო ქარხნის ნოვატორი ხარატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

კავკასიონის მაღალი მთებიდან, სადაც ცხვარში ვარ, სულით და გულით მივესალმები მზიური აჭარის მშრომელებს და ვულოცავ მათ დიად დღესასწაულს, — რასაც ასე დიდი სიხარულით აღნიშნავენ საქართველოს ყველა კუთხეში, მათ შორის ჩემს მშობლიურ მლეთაშიც.

დაე მომავალშიც ახალი წარმატებებისაკენ გევლოთ, ძვირფასო მეგობრებო!

გაუმარჯოს მზიურ აჭარას!

**ყარამან გაგაძე,**
დუშეთის რაიონის სოფელ მლეთის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმის მწყემსი, სოციალისტური შრომის გმირი.

## ცრემლი, მარგალიტად ქცეული

ჩვენი მშობლიური აჭარა სრული თავისუფლების ორმოცდაათი წლის იუბილეს იხდის, ეს არის მთელი ქართველი ხალხის დღესასწაული და სიხარული. ქართველ ხალხს არ დავიწყებია, რომ იგი დიდხანს მოწყვეტილი იყო დედასამშობლოს. მაგრამ გმირმა და დიდი სამშობლოს მოტრფიალე ხალხმა არ დათმო თავისი ქართველობა და მძიმე ავბედობის საუკუნეთა მანძილზე ამაყად გამოატარა თავისი ეროვნული დროშა და მოწიწებით დაასვენა დიდი სამშობლოს საკურთხეველზე.

თითქმის ასიოდე წლის წინათ დაგვიბრუნდა იგი, მაგრამ ეს არ იყო სრული დაბრუნება და სრული თავისუფლება, მთელ ქართველ ხალხთან ერთად იგი კვლავ კვნესოდა... კვნესოდა, მაგრამ ხელს არ იღებდა მომავლისათვის ბრძოლაზე.

ჩვენი საუკუნის პირველ ათეულ წლებში ქართველ განმანათლებელ მოღვაწეთა თაოსნობით, და პირველ რიგში ილია ჭავჭავაძისა, აჭარიდან თბილისში ჩამოიყვანეს რამდენიმე ბავშვი (კონცელიძე, კაიკაციშვილი და სხვები), რომელნიც ქართულ გიმნაზიაში სწავლობდნენ. რა ზეიმი იყო ჩვენი, ბავშვებისა, როდესაც ისინი ჩვენმა საყვარელმა მასწავლებელმა ლუარსაბ ბოცვაძემ კლასში შემოიყვანა და გაგვაცნო ვინც იყვნენ. თავს ვევლებოდით, ვეფერებოდით. ესენი იყვნენ პირველნი დიდი სამშობლოს ქართულ სკოლაში...

გავიდა ხანი, პირველმა მსოფლიო ომმა დაანთო უდიდესი ხანძარი განადგურებისა. 1914 წელს მან საქართველოს კარს დაუკაკუნა, ოსმალთა ჯარმა წინ წამოიწია. დაირხა ხმა, იმპერიის მმართველობას სურს აჭარა გადაასახლოს რუსეთის შორეულ მხარეში. როგორც ერთი კაცი ფეხზე დადგა მთელი ერი, განსაკუთრებით აქტიური და ამ მოძრაობის მეთაური იყო მარიამ ორბელიანი, ვახტანგის ასული, ერეკლეს ქალის თეკლეს შვილიშვილი. იწერებოდა მიმართვები, მემორანდუმები. ამბობდნენ, ვორონცოვ-დაშკოვი ამ მოძრაობამ ფრიად შეაშფოთაო. რასაკვირველია, ქალებს არც ჩვენი ინტელიგენციის მეორე მხარე ჩამორჩენია (კიტა აბაშიძე, გიგო რცხილაძე, ნიკო თავდგირიძე, ექვთიმე თაყაიშვილი და მრავალი სხვა).

თბილისში ჩამოვიდნენ ხულოელი, ქობულეთელი და სხვა სოფლების მოხუცები, იყვნენ წერა-კითხვის საზოგადოებაში, ქართულ გიმნაზიაში: როგორ? არ გვეყო, ამდენ ხანს მოწყვეტილები ვიყავით დიდ სამშობლოს და კიდევ დაგვცილდეთ? დავიხოცებით, ფეხს არ მოვიცვლითო!

„ჩვენც თქვენთან ერთად!" — იყო პასუხი მთელი ერისა.

ოსმალთა არმიამ ნელინელ უკან დაიხია, გადასახლების ხმებიც მიწყდა.

და კიდევ რამდენი ცრემლი დაიღვარა და შეუერთდა მშობლიურ მიწას, მაგრამ ეს ცრემლი, წმინდა ცრემლი, ჩვენი ძმობისა და ჩვენი ხალხის მარგალიტის მძივად იქცა და უჩვეულოდ აკიაფდა დღევანდელი ახალი ცხოვრების მზის სხივებზე.

დღეს 2-3 მოწაფე კი არ გვახარებს, არამედ მთელი აჭარა სწავლობს და ახალ ცხოვრებასაა დაწაფებული, ათასობით აგრონომი, ინჟინერი, ექიმი, პედაგოგი, მეცნიერების დოქტორი, აკადემიკოსი აშენებს და აძლიერებს მშობლიურ აჭარას.

იცოცხლოს და იდღეგრძელოს! მისი ცრემლი, წარსულში დაღვრილი, დღეს ბრწყინვალე მარგალიტად ქცეული, მარად ელვარებდეს ჩვენი ერის სასიხარულოდ!

**ნიკო კეცხოველი**

# სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოში

**სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილებანი: „1971-1975 წლებში რკინიგზის ტრანსპორტის განვითარების შესახებ", „სამრეწველო რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობის გაუმჯობესების შესახებ" და საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად დადგენილება „რკინიგზის ტრანსპორტზე და მეტროპოლიტენში ხელფასის მინიმალური ოდენობის გადიდებისა და საშუალოხელფასიან მუშათა და მოსამსახურეთა განაკვეთებისა და სარგოების მომატების, აგრეთვე რკინიგზის ტრანსპორტზე კადრების შენარჩუნების ღონისძიებათა შესახებ".**

ტვირთზიდვაზე სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებათა უზრუნველსაყოფად რკინიგზის ტრანსპორტის შემდგომი ხელახალი ტექნიკური აღჭურვის მიზნით სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაამტკიცეს ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ რკინიგზის ტრანსპორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებას მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების, ყველაზე პროგრესულ სახეობათა მოძრავი შემადგენლობის, მანქანებისა და მექანიზმების, ძირითადი საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის გამოყენებით უფრო სრულყოფილი ტექნოლოგიური პროცესების ფართოდ დანერგვის საფუძველზე, არსებული რეზერვების გამოვლინებასა და რეალიზაციას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით 1971-1975 წლებისათვის დადგენილია ახალი რკინიგზის ხაზების, მეორე ლიანდაგების, ავტომატური ბლოკირებისა და სადისპეტჩერო ცენტრალიზაციის მოწყობილობის ამოქმედების, რკინიგზების ელექტრიფიკაციის დავალებანი.

გათვალისწინებულია, რომ რკინიგზის ტრანსპორტს მიაწვდიან 420-430 ათას სამაგისტრალო სატვირთო ვაგონს, 16 ათას სამგზავრო ვაგონს, 6 ათასამდე სამაგისტრალო თბომავლების სექციას, 2 ათას ელმავალს, 3 ათას სამანევრო თბომავალს და სულ ცოტა 7,8 მილიონ ტონა რელსებს.

გზათა სამინისტროს და სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს დაუმტკიცეს რკინიგზის სადგურებისა და კვანძების რეკონსტრუქციის, რკინიგზების სატვირთო მეურნეობის განვითარების, მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, გორკსა და მთელ რიგ სხვა ქალაქებში რკინიგზის გამოსათვლელი ცენტრების აგების, მოძრავი შემადგენლობის შემკეთებელი და სათადარიგო ნაწილების საწარმოების რეკონსტრუქციისა და მშენებლობის, აგრეთვე რკინიგზელთა საცხოვრებელი სახლების, სკოლების, საბავშვო დაწესებულებებისა და საავადმყოფოების მშენებლობის დავალებანი.

გათვალისწინებულია დიდი სამუშაოები ლიანდაგის ზედა აგებულების გაძლიერებისათვის რკინიგ- [illegible]

[illegible] რი ლიანდაგების სიგრძის გადიდების გზით.

გზათა სამინისტროს დაევალა განახორციელოს რკინიგზის ტრანსპორტის შინაგანი რეზერვების უფრო სრულად გამოყენების, კერძოდ მატარებლების მოძრაობის სიჩქარისა და წონის გადიდების, ვაგონების ბრუნვის დაჩქარების, მათი ცარიელი გარბენის შემცირების, აგრეთვე სამარშრუტო ტვირთზიდვის დონის ამაღლების მთელი რიგი ღონისძიებანი.

ტვირთის გამგზავნ და ტვირთის მიმღებ სამინისტროებს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, გზათა სამინისტროს, სსრ კავშირის სახმომარაგებასა და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს მიეცათ წინადადება შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი რკინიგზის ტრანსპორტით მეტისმეტად შორი, შემხვედრი და სხვა სახეობის არარაციონალური ტვირთზიდვის თავიდან ასაცილებლად.

ამავე დროს, მოძრავი შემადგენლობის გამოყენების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით ტვირთის გამგზავნ და ტვირთის მიმღებ სამინისტროებსა და უწყებებს, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს და გზათა სამინისტროებს ევალებათ განახორციელონ დამატებითი ღონისძიებანი, რათა უფრო შემცირდეს ვაგონების დგომა დატვირთვისა და გადმოტვირთვის დროს, თანაბრად წარადგინონ გადასაზიდი ტვირთი კვირის ყველა დღეს და დროულად გამოიტანონ ტვირთი რკინიგზის სადგურებიდან, საზღ- [illegible]

[illegible] ში განახორციელოს ღონისძიებანი, რათა უზრუნველყონ რკინიგზის ტრანსპორტისათვის მიწოდებული ელმავლების, თბომავლების, სატვირთო და სამგზავრო ვაგონების, სამწეო-სატრანსპორტო მოწყობილობისა და სალიანდაგო, დასატვირთ-გადმოსატვირთო და სხვა შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციის საშუალებათა ტექნიკური დონის ამაღლება, ხარისხისა და საიმედოობის გაუმჯობესება.

დადგენილებაში სამრეწველო რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობის გაუმჯობესების შესახებ აღნიშნულია, რომ სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა დააჩქარონ სამრეწველო რკინიგზის ტრანსპორტის ტექნიკური რეკონსტრუქცია და გაზარდონ მისი მუშაობის ეფექტიანობა ელექტრო და თბოწევით ორთქლის წევის შეცვლის ძირითადად დამთავრების, სამრეწველო რკინიგზის ტრანსპორტის სპეციალიზებული ვაგონებით აღჭურვის, სალიანდაგო მეურნეობის სიმძლავრის გადიდებისა და დასატვირთ-გადმოსატვირთო და სალიანდაგო სარემონტო სამუშაოებზე მძიმე ფიზიკური შრომის ლიკვიდაციისათვის მანქანებისა და მექანიზმების კომპლექსის დანერგვის, ტვირთის საკონტეინერო და საპაკეტო გადაზიდვის ყოველი ღონისძიებით გაფართოების საფუძველზე.

ამ მიზნით გათვალისწინებულია, რომ სამრეწველო რკინიგზის ტრა- [illegible] შუალებებსა და მექანიზმებს.

სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაევალათ განახორციელონ ღონისძიებანი სამრეწველო რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობაში ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და, დაწყებული 1972 წლიდან, გეგმებში ცალკე განყოფილებად გამოჰყონ სამრეწველო რკინიგზის ტრანსპორტის რეკონსტრუქციის საკითხები, ამასთან დააწესონ მისი შემდგომი ხელახალი ტექნიკური აღჭურვის კონკრეტული დავალებანი.

სსრ კავშირის სახმშენს წინადადება მიეცა მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით შეიმუშაოს სამრეწველო ტრანსპორტის კომპლექსური განვითარების ძირითადი მიმართულებანი, აგრეთვე საწარმოების, მშენებლობებისა და ორგანიზაციების ტრანსპორტის კომპლექსური განვითარების გენერალური სქემები ქვეყნის ძირითადი სამრეწველო რაიონების მიხედვით.

დადგენილებით დამტკიცებულია 1971-1975 წლებისათვის ქვანახშირის მრეწველობის, ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის, შავი და ფერადი მეტალურგიის, საშენ მასალათა მრეწველობის, ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის და რუსეთის სფსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს დარგთაშორისი გაერთიანებული სატრანსპორტო მეურნეობების, სამრეწველო რკინიგზის ტრანსპორტის განვითარებისა და ხელახალი ტექნიკური აღჭურვის ღონისძიებანი.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს დაევალა გაითვალისწინოს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების ხუთწლიანი გეგმის პროექტში და წლიურ გეგმებში მოძრავი შემადგენლობის, მასალების, მანქანებისა და მექანიზმების წარმოება და მიწოდება, რაც საჭიროა დადგენილებით დასახულ ღონისძიებათა შესასრულებლად.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი მოვალეა გაითვალისწინოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა საკოორდინაციო გეგმებში ტრანსპორტის პროგრესულ სახეობათა და მაღალი წარმადობის დატვირთვა-გადმოტვირთვის სისტემათა განვითარება მოძრავი შემადგენლობის კონსტრუქციებთან კომპლექსში, რომლებიც გამოირიცხავენ მძიმე ხელის შრომის გამოყენებას.

გზათა სამინისტროს დაეკისრა მოვალეობა ტექნიკური დახმარება გაუწიოს სამრეწველო რკინიგზის ტრანსპორტს, კერძოდ, მოძრავი შემადგენლობის, სალიანდაგო მანქანების, ამწეებისა და სხვა მექანიზმების რემონტში, აგრეთვე მიაწოდოს სამრეწველო რკინიგზის ტრანსპორტის საჭიროებისათვის ვაგონები რკინიგზების პარკიდან და შეკეთებული რელსები.

დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ რა რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობის გაუმჯობესებას ტვირთზიდვაზე სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებათა შეუფერხებელი და სრული დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაავალეს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომებს სისტემატურად განიხილონ რკინიგზების ხელახალი ტექნიკური აღჭურვისა და მათი გადაზიდვისა და გამტარობის უნარის გადიდების დავალებათა შესრულების მდგომარეობა, გააუმჯობესონ მუშაობა კადრებთან, საჭირო დახმარება გაუწიონ რკინიგზის ტრანსპორტის საწარმოებსა და მშენებლობებს, აგრეთვე უზრუნველყონ სისტემატური კონტროლი სამრეწველო რკინიგზის ტრანსპორტის განვითარების, მისი ტექნიკური საშუალებების გამოყენების გაუმჯობესებისა და სატრანსპორტო დანახარჯების შემცირების დავალებათა შესრულებისადმი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ რწმენას, რომ ასრულებენ რა სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, ქვეყნის რკინიგზელები პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით მთელ ძალღონეს მოახმარენ რკინიგზის ტრანსპორტის ახალ აღმავლობას და რაც შეიძლება სრულად დააკმაყოფილებენ სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებებს ტვირთზიდვაზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს დადგენილება ითვალისწინებს გაუდიდდეთ რკინიგზის ტრანსპორტის, აგრეთვე მეტროპოლიტენების მუშაკებს ხელფასის მინიმალური ოდენობა და საშუალოხელფასიან მუშებსა და მოსამსახურეებს (მათ შორის ახლადმშენებარე რკინიგზების დროებითი ექსპლოატაციის განყოფილებების მუშაკებს) განაკვეთები და სარგოები. ამის დამატებით რკინიგზების ცალკეული, ყველაზე მძიმე შრომის პირობების მქონე უბნების მუშაკებს უწესდებათ გადიდებული სატარიფო განაკვეთები და თანამდებობრივი სარგოები.

სალოკომოტივო ბრიგადების მუშებს უწესდებათ ყოველთვიური [illegible] კვალიფიკაციის კლასისთვის [illegible] შესაბამისად, [illegible] მართვის უფლება.

დაწესებულია დამატებითი ყოველწლიური ფასიანი შვებულებანი რკინიგზის ტრანსპორტის საწარმოთა მუშაკებისათვის, რომლებიც დასაქმებული არიან საექსპლოატაციო სამუშაოებზე, ერთ საწარმოში განუწყვეტელი მუშაობის სტაჟის შესაბამისად.

სამაგისტრალო რკინიგზების საუკეთესო მატარებლების შემდგენლებისა და ვაგონების გამსინჯველ-შემკეთებლებისათვის წესდება წოდებანი „მატარებლების შედგენის ოსტატი" და „პირველი კლასის ვაგონების გამსინჯველ-შემკეთებელი". ამ წოდების მქონე პირებს ყოველთვიურად მიეცემათ ხელფასის წანამატი.

რკინიგზის ტრანსპორტის საწარმოთა სპეციალისტებისა და კვალიფიციური მუშებისათვის, რომლებიც სამუშაოდ არიან გაგზავნილი რკინიგზების ცალკეულ უბნებზე, სადაც შრომის ყველაზე მძიმე პირობებია, დაწესებულია გადიდებული ოდენობის ერთდროული დახმარება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს მიაჩნიათ, რომ რკინიგზის ტრანსპორტისა და მეტროპოლიტენების მუშაკთა ხელფასის მომატებისა და მატერიალური სტიმულირების გაძლიერების ღონისძიებათა განხორციელება ხელს შეუწყობს რკინიგზების გადაზიდვისა და გამტარობის უნარის რეზერვების გამოყენების გაუმჯობესებას, ახალი ტექნიკის დანერგვის დაჩქარებასა და შრომის ნაყოფიერების გადიდებას, აგრეთვე მგზავრთა მომსახურების გაუმჯობესებას.

## საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია მოსკოვში დაბრუნდა

**15 ივლისს** მოსკოვში დაბრუნდა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის მეთაურობით. მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის მოწვევით იგი მონაწილეობდა მონღოლეთის სახალხო რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმში. (საქდესი).

## საქმიანი გამოხმაურება

### სტუდენტობა — მეცხოველეობას

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობამ, სტუდენტებმა მოუწოდეს რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების პროფესორებს, მასწავლებლებს, სტუდენტებსა და მოსწავლეებს ჩაებან საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობის საყოველთაო-სახალხო საქმეში. ინსტიტუტის კოლექტივმა იკისრა ვალდებულება კონკრეტულად დაეხმაროს მეცხოველეებს მტკიცე საკვები ბაზის შექმნასა და ფერმების მექანიზაციაში.

გუშინ, 15 ივლისს, ინსტიტუტის 200 სტუდენტი და 10 მასწავლებელი დუშეთის რაიონში გაემგზავრა. რაზმს ხელმძღვანელობს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მტკიცე საკვები ბაზის შექმნისა და საძოვრების გაუმჯობესების შტაბის უფროსი, დოცენტი გ. ქაპატაძე.

— ჩვენი ინსტიტუტის პროფესორების, მასწავლებლებისა და სტუდენტების ინიციატივა, — განუცხადა საქდესის კორესპონდენტს ინსტიტუტის რექტორმა, პროფესორმა ი. სარიშვილმა, — საქმიანი გამოხმაურებაა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილებაზე სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად პირუტყვის საკვების წარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადიდების ღონისძიებათა შესახებ. სტუდენტები ესწრაფვიან თავიანთი წვლილი შეიტანონ საქართველოს კომკავშირის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

რატომ ავირჩიეთ მაინცადამაინც დუშეთის რაიონი? საქმე ისაა, რომ ტრადიციული მეცხოველეობის ამ მხარეს შესანიშნავი ბუნებრივი საძოვრები და სათიბები აქვს, რომლებიც, სამწუხაროდ, ხელმიშვებულია. ამ მასივების გაუმჯობესება საშუალებას მოგვცემს განვამტკიცოთ რაიონის მეცხოველეობის საკვები ბაზა. ჩვენმა სტუდენტებმა დუშელ ახალგაზრდებთან ერთად უნდა გაწმინდონ ქვებისაგან, სარეველებისა და შხამიანი მცენარეულობისაგან 10 ათასი ჰექტარი სათიბები და საძოვრები. გარდა ამისა, ერთი თვის მანძილზე სტუდენტთა ბრიგადები რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობების მუშებს დაეხმარებიან უხეში და წვნიანი საკვების დამზადებაში, დასილოსებაში.

1 აგვისტოს დუშეთს გაემგზავრება კიდევ 100 სტუდენტი. 1 სექტემბრიდან კი მათ შეცვლის 300 სტუდენტისაგან შემდგარი ახალი რაზმი.

მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის ფაკულტეტის წარგზავნილთა დიდი ჯგუფი დუშეთისა და კასპის რაიონების მეურნეობებში შეაკეთებს მექანიზებული ფერმების მოწყობილობას. 500 სტუდენტიდან, რომელიც საწარმოო პრაქტიკას გადის რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეში, თვითეულმა იკისრა დაამზადოს სულ ცოტა 400 კილოგრამი თივა და ნახევარი ტონა სილოსი;

დუშეთის რაიონის მეცხოველეებისადმი ინსტიტუტის კონკრეტული დახმარება ამით როდი ამოიწურება. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეცნიერები და სტუდენტები ადგენენ საკვები თესლბრუნვის ვარიანტებს, ამუშავებენ ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა სისტემას, პირუტყვის კვების მეცნიერულად დასაბუთებულ ნორმებსა და ულუფებს, მონაწილეობას მიიღებენ საძოვრების გაწყლოვანებაში.

კეთილი საქმე წამოიწყეს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მასწავლებლებმა და სტუდენტებმა. წარმატებანი ვუსურვოთ მათ! (საქდესი).

## ბეჯითი შრომით

**ქარელის** რაიონის ფერმების მშრომელებმა დიდი წარმატება მოიპოვეს მეცხოველეობის პროდუქტთა წარმოებასა და დამზადებაში.

განსაკუთრებით კარგად იმუშავეს მეფრინველეებმა. მათ ვადაზე თითქმის ნახევარი წლით ადრე შეასრულეს სახელმწიფოსათვის კვერცხის მიყიდვის წლიური გეგმა და 8 პროცენტით გადააჭარბეს დავალებას.

მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულებულია აგრეთვე ხორცისა და რძის დამზადების ნახევარი წლის გეგმები. 1 ივლისისათვის ხორცის დამზადების ექვსი თვის გეგმა შესრულებულია 180 პროცენტით, რძისა — 142 პროცენტით.

რაიონში იქმნება მეცხოველეობის მყარი საკვები ბაზა. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს თიბვა და საკვების მიზიდვა ფერმებში. ქარელის რაიონის მეცხოველეები ფართოდ იყენებენ საკვების წარმოების პროგრესულ ხერხებს: წელს სანაწვერალო კულტურები გეგმით გათვალისწინებული 450 ჰექტარის ნაცვლად დაიკავებენ 600 ჰექტარს. (საქდესი).

## ბულგარეთის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოფენა

სახალხო ხელისუფლების წლების მანძილზე ბულგარეთში შეიქმნა მძლავრი მანქანათსაშენებელი მრეწველობა. ტრაქტორმშენებლობა და სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღების წარმოება შეადგენს ბულგარეთის მანქანათმშენებლობის საერთო პროდუქციის 14 პროცენტს.

„აგრომაშინაიმპექსის" სახელმწიფო სავაჭრო საწარმოს საქმიანობის შედეგად ბულგარული ტექნიკა ცნობილი გახდა მსოფლიოს ორმოც ქვეყანაში. გასული ხუთწლედის წლებში (1965-1970 წლები) ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო მანქანების ექსპორტის მოცულობა გაორკეცდა. ექსპორტის თითქმის ნახევარი საბჭოთა კავშირზე მოდის.

ყოველივე ეს 15 ივლისს ქართველ ჟურნალისტებს აცნობა „აგრომაშინაიმპექსის" სახელმწიფო სავაჭრო საწარმოს გენერალურმა დირექტორმა ნიკოლოზ ლეკოევმა პრეს-კონფერენციაზე, რომელიც ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში გაიმართა სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გახსნის გამო.

ბულგარელ სტუმრებს მიესალმა რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის" თავმჯდომარის მოადგილე ვ. რევაზიშვილი.

გამოფენა ათ დღეს იმუშავებს.

საქართველოს ტექნიკური ინფორმაციისა და ტექნიკა-ეკონომიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შენობაში გაიმართა სიმპოზიუმი პრობლემაზე: „ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის მიღწევები სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დარგში". მოხსენება წაიკითხა „აგრომაშინაიმპექსის" სახელმწიფო სავაჭრო საწარმოს მთავარმა ინჟინერმა ვალენტინ სტანჩევმა.

მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სავაჭრო პალატის საგარეო ურთიერთობის განყოფილების უფროსმა ლ. რტხილაძემ. (საქდესი).

### ბაღდადი

## ერაყელთა დღესასწაული

**15 ივლისი. (საქდესი).** ერაყელი ხალხი ზეიმით აღნიშნავს ფეოდალურ-მონარქისტული რეჟიმის დამხობის 13 წლისთავს და არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის (ბაასი) პროგრესული ფრთის ხელისუფლების სათავეში მოსვლის მე-3 წლისთავს.

განვლილ წლებში ერაყმა დაძლია ქვეყანაში ღრმა სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნათა როგორც საშინაო, ისე საგარეო მტრების წინააღმდეგობა, მტკიცედ იბრძოდა უცხოეთის ნავთობის მონოპოლიათა წინააღმდეგ, რომლებიც ძირს უთხრიან ერაყის დამოუკიდებლობას.

ერაყის მთავრობა ადგას ყოველმხრივი პროგრესული გარდაქმნების პრაქტიკული განხორციელებისა და გაღრმავების კურსს და მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვა ამ გზაზე. ამ მიღწევებში დიდ როლს ასრულებს საბჭოთა კავშირ-ერაყის თანამშრომლობა.

საბჭოთა ხალხი ყოველთვის დიდი სიმპათიით ეკიდებოდა ერაყელ ხალხს. საბჭოთა კავშირის ტექნიკური დახმარებით ერაყში აშენდა მთელი რიგი სამრეწველო საწარმოები და ახლაც საბჭოთა კავშირი ერაყს ეხმარება ნავთობის ეროვნული ინდუსტრიის შექმნაში.

საბჭოთა კავშირის მთავრობისა და პარტიის დელეგაციის ამასწინანდელმა ვიზიტმა ერაყში ბევრად შეუწყო ხელი საბჭოთა კავშირ-ერაყის მეგობრული ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას.

## უგუნური პოლიტიკა

### თელ-ავივი

### ისრაელის კომპარტიის პოლიტბიუროს განცხადება

**15 ივლისი. (საქდესი). ისრაელის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ გამოაქვეყნა განცხადება ისრაელის მთავრობის იმ წინადადებასთან დაკავშირებით, რომ ოკუპირებულ სინას ნახევარკუნძულზე მდებარე აეროდრომები გადასცეს ნატოს ბლოკის განკარგულებაში.**

ამ წინადადებას შეიცავდა თავდაცვის მინისტრის დაიანის გამოსვლა ისრაელის რადიოთი.

ისრაელის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს განცხადებაში აღნიშნულია, რომ დაიანმა თავისი წინადადება, რომელიც საფრთხეს უქმნის ახლო აღმოსავლეთის მშვიდობას, წამოაყენა მას შემდეგ, რაც ისრაელში ვიზიტად იყო ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორი რ. ჰელმსი.

ეს ვიზიტი კიდევ ერთხელ მოწმობს, თუ რა როლს ასრულებს ისრაელი ამერიკის იმპერიალიზმისა და ნატოს აგრესიული ბლოკის გლობალურ გეგმებში, რომლებიც მიმართულია ახლო აღმოსავლეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ, საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ.

ისრაელის მმართველები, რომლებიც ნატოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს სთავაზობენ ბაზებს სინას ნახევარკუნძულზე, ნათქვამია შემდეგ განცხადებაში, ამით ცდილობენ დამკვიდრდნენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე.

დაპყრობილი არაბული ტერიტორიების სამუდამოდ დამკვიდრების უგუნური პოლიტიკა ხელს უშლის სამართლიანი და მტკიცე მშვიდობის დამყარებას, ემსახურება ამერიკის იმპერიალიზმის ინტერესებს და ეწინააღმდეგება ისრაელი ხალხის ინტერესებს, მის მისწრაფებას მშვიდობისა და უშიშროებისადმი.

## მაროკოს ამბები

**რაბათი. 15 ივლისი. (საქდესი). მეფე ჰასან II თავმჯდომარეობით აქ გაიმართა მინისტრთა საბჭოს სხდომა, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება პარლამენტში შეიტანოს კანონპროექტი სახელმწიფო უშიშროების სასამართლოს შექმნის შესახებ.**

შეიქმნა აგრეთვე კომისია, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ შინაგან საქმეთა, თავდაცვისა და იუსტიციის მინისტრები. კომისია შეისწავლის სახელმწიფო გადატრიალების ამასწინანდელ ცდასთან დაკავშირებულ ყველა გარემოებას.

ხელისუფლებმა გამოაცხადეს, რომ კონფისკებულია შეთქმულების მონაწილეთა ქონება.

როგორც მაროკოს პრესის სააგენტო იუწყება, დაზუსტებული მონაცემებით, სხირათის სასახლეში ატეხილი სროლის დროს მეფე ჰასანის დაბადების დღის გამო გამართულ დარბაზობაზე მყოფთაგან დახოცეს 100 კაცი. გარდა ამისა, დახოცეს შეთქმულების 168 მონაწილე.

უცხოეთის სააგენტოთა ცნობებით, 500-მდე ამბოხებული კვლავ მთებში იმალება. რაბათიდან კასაბლანკაში მიმავალ გზაზე მოქმედებს მრავალრიცხოვანი სამხედრო საკონტროლო საგუშაგოები, ხოლო თვით კასაბლანკის ნავსადგური დროებით დაიხურა.

**კაირო. 15 ივლისი. (საქდესი). ლიბიამ გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა მაროკოსთან, იუწყება ტრიპოლიდან მენის სააგენტოს კორესპონდენტი.**

ლიბიის მთავრობამ სთხოვა არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას იყოს მისი ინტერესების წარმომადგენელი მაროკოში.

როგორც ვიუწყებოდით ლიბია-მაროკოს ურთიერთობა ამ ბოლო დღეებში გამწვავდა მაროკოში სახელმწიფო გადატრიალების ცდის შემდეგ.



**ვ**ენესუელაში მოეწყო გაფიცვები და მასობრივი გამოსვლები, რომლებიც მიმართულია უცხოეთის, უპირველეს ყოვლისა აშშ-ის მონოპოლიების მძარცველური პოლიტიკის წინააღმდეგ. მებრძოლთა რიგებშია საბურავების ქარხანა „გუდირის" ათასობით მუშა. ისინი ამერიკული კონცერნისგან მოითხოვენ ზედმეტ სამუშაო საათებზე დავალიანების გადახდას და კოლექტიურ ხელშეკრულებათა პირობების დაცვას. ქვეყანაში არ წყდება აგრეთვე მენავთობეთა გამოსვლები, რომლებიც „კრეოლ-პეტროლეუმ კორპორეიშნისა" და „შელის" მაქინაციების წინააღმდეგ იბრძვიან. ეს კომპანიები სამუშაოდან უკანონოდ ითხოვენ მუშებს.

გაიფიცნენ დოკერები, ფეიქრები, გლეხები და სტუდენტები.

**სურათზე:** კარაკასის მშრომელთა ერთ-ერთი დემონსტრაცია.

საქდესის ფოტოქრონიკა.

### ვაშინგტონი

## სენატორთა განცხადება

**15 ივლისი. (საქდესი).** სენატორმა ე. კენედიმ შეშფოთება გამოთქვა მთავრობის პოლიტიკის გამო.

„უსინდისობად მიმაჩნია მკვლელობის უფლების მიცემა ისეთ მომენტში, როცა, როგორც იქნა, შესაძლებლობა მოგვეცა მივაღწიოთ ნამდვილ პროგრესს პარიზის მოლაპარაკებაზე", — განაცხადა ე. კენედიმ კონგრესში.

სენატის დემოკრატიული უმრავლესობის ლიდერმა მ. მენსფილდმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის ახალი გეგმა „შეიცავს ელემენტებს, რომლებიც დაგვეხმარებიან თავი დავაღწიოთ ჩიხს",

## აპოხიწებენ სამხედრო ბლოკს

### ტოკიო

15 ივლისი. (საქდესი). ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრი მ. ლეირდი, რომელმაც დაამთავრა ვიზიტი სამხრეთ კორეაში, ჰავაის კუნძულებზე გაფრინდა.

სეულში ჩასვლამდე პენტაგონის შეფს მოლაპარაკება ჰქონდა იაპონიის მთავრობისა და სამხედრო უწყების ხელმძღვანელებთან.

როგორც პრესა აღნიშნავს, ამ მოლაპარაკების შესაბამისად იაპონიამ კიდევ უფრო უნდა გაზარდოს თავისი სამხედრო ხარჯები, იკისროს იმ ამოცანათა ნაწილი, რომლებსაც აზიაში ასრულებს ამერიკის არმია.

ადგილობრივ მიმომხილველთა აზრით, ლეირდის მოგზაურობის მიზანია შეეცადოს ერთმანეთს დაუკავშიროს შორეული აღმოსავლეთის ქვეყნები სამხედრო თვალსაზრისით მას შემდეგ, რაც ოკინავას იაპონიას დაუბრუნებენ.

იაპონიის მთავრობა, აღნიშნავს ჟურნალი „სიუკან ასახი", რომელმაც ხელი მოაწერა შეთანხმებას ოკინავის დაბრუნების შესახებ, ამით დაადგა ანტიკომუნისტური ბლოკის შექმნის გზას, რომელიც გააერთიანებს იაპონიას, სამხრეთ კორეასა და ტაივანს.

# საერთაშორისო ცხოვრება

## ტელეტაიპის ლენტიდან — ფაქტები

● **ირანის** ქალაქ ჰამადანის მიდამოებში საზეიმო ვითარებაში გახსნეს სამი სკოლა, რომლებსაც მიენიჭათ საბჭოთა კოსმონავტი გმირების გ. ტ. დობროვოლსკის, ვ. ნ. ვოლკოვისა და ვ. ი. პაცაევის სახელები. ცერემონიალზე იყვნენ პრინცესა აშრაფ ფეჰლევი, პრემიერ-მინისტრის მოადგილე ს. ასფია და ირანის სხვა ოფიციალური პირნი, აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი ირანში ვ. ი. ეროფეევი.

● **ბრიუსელში** დამთავრდა სსრ კავშირისა და ბენილუქსის ქვეყნების სავაჭრო მოლაპარაკება. ხელი მოაწერეს სავაჭრო ხელშეკრულებასა და შეთანხმებას ვაჭრობისა და გადასახდელების შესახებ.

● **ჩილეს მთავრობამ** სახელმწიფოს კონტროლს დაუქვემდებარა ამერიკის ბანკის „ბენკ ოფ ამერიკას" ფილიალი ჩილეში.

● **ამერიკული** მომწამვლელი გაზების გატანის ოპერაციის მეორე ეტაპი დაიწყო ოკინავაზე. ამერიკის შეერთებული შტატები იძულებული გახდა დაეწყო ამ გაზების გატანა იაპონიის დემოკრატიული საზოგადოებრიობის ზეგავლენით. თითქმის თვე-ნახევრის განმავლობაში გაიტანეს დაახლოებით 13 ათას ტონა მდოგვისა და ნერვულ-პარალიზურ გაზებს.

● **ფრანკფურტის** სავალუტო ბირჟაზე ამერიკული დოლარის კურსი დასავლეთგერმანული მარკის მიმართ დაეცა 3,49 მარკამდე ერთ დოლარში. ეს დოლარის ყველაზე დაბალი კურსია მას შემდეგ, რაც მიმდინარე წლის მაისში გფრ-ის მთავრობამ შემოიღო მარკის მერყევი კურსი დოლარის მიმართ.

● **ჟენევის** ხელოვნებისა და ისტორიის მუზეუმში პირველად გამოფენილია ცნობილი ესპანელი მხატვრის პაბლო პიკასოს 347 ნამუშევარი. ეს გამოფენა ეძღვნება მხატვრის დაბადების 90 წლისთავს, რომელიც მიმდინარე წლის 25 ოქტომბერს აღინიშნება.

● **სტოკჰოლმის** სასამართლომ სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა უსტაშების ნაციონალისტური ემიგრანტული ტერორისტული ორგანიზაციის წევრ ორ ხორვატს, რომლებმაც მიმდინარე წლის 7 აპრილს მოკლეს იუგოსლავიის ელჩი შვეციაში ვ. როლოვიჩი. ამ მკვლელობის სამ თანამონაწილეს მიუსაჯეს სხვადასხვა ვადის პატიმრობა.

● **დიდი მიწისძვრა** მოხდა ჩრდილოეთ იტალიაში. მიწისძვრის ეპიცენტრი იყო რეჯიო ემილიის პროვინციაში.

### კამპალა

## ვითარება დაძაბულია

**15 ივლისი. (საქდესი).** აქ მიღებული ცნობებით, ვითარება უგანდისა და ტანზანიის საზღვარზე კვლავ დაძაბულია. ზოგიერთი ცნობით, საზღვრის ორივე მხარეს კიკაგატის დასახლებული პუნქტის რაიონში თავმოყრილია ჯარის ქვეგანაყოფები.

ამავე დროს იუწყებიან, რომ მთავრობის ჯარებსა და აჯანყებულებს შორის გრძელდება სროლა ქალაქ ჯინჯის რაიონში.

ცნობებში ნათქვამია, რომ ქალაქში დახურულია ყველა მაღაზია, არ მუშაობენ სკოლები. ქალაქის ახლოს მდებარე არსენალში ხანძარი გაჩნდა. გზაში ჯინჯიდან კამპალისაკენ დაყენებული არიან არმიის გაძლიერებული პატრულები.

### ნიუ-იორკი

## სპობენ ძველს, აგროვებენ ახალს

**15 ივლისი. (საქდესი). ამერიკის შეერთებული შტატების არმიის სარდლობამ გამოაცხადა, რომ ფორტ-ბლაფში (არკანზასის შტატი) დაიწყო სამუშაოები იქ შენახული ბაქტერიოლოგიური იარაღის მარაგის მოსასპობად.**

ამ ცნობის აშკარა მიზანია დაამშვიდოს ამერიკისა და მსოფლიო საზოგადოებრიობა, რომელიც სერიოზულ შეშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ შეერთებული შტატები ზრდის ბაქტერიოლოგიური, ქიმიური იარაღის მარაგს.

ამერიკის შეერთებული შტატების მხედრიონი, რომელიც სპობს ძველი მარაგის ნაწილს, ამავე დროს განავრძობს ინტენსიურ მუშაობას ბაქტერიოლოგიური და ქიმიური ომის წარმოების უახლეს საშუალებათა შესწავლისა და სრულყოფისათვის.

როგორც სენატორმა ჩერჩმა განაცხადა, ამერიკის შეერთებულ შტატებს განზრახული აქვს მნიშვნელოვნად გააფართოოს ბაქტერიოლოგიური იარაღის საცდელი პოლიგონი დესერეტში (იუტის შტატი) და მსოფლიოში უდიდეს პოლიგონად გადააქციოს იგი.

სწრაფი ტემპით მიმდინარეობს მუშაობა ბაქტერიოლოგიური იარაღის ზეგავლენისაგან „დასაცავ ღონისძიებათა" შესასწავლად ფორტ-დეტრიკში (მერილენდის შტატი).

## მიწისძვრის შემდეგ

### სანტიაგო

**15 ივლისი. (საქდესი). მიწისძვრა ჩილეში რამდენიმე წამს გაგრძელდა, მაგრამ მისი შედეგები საშინელია: 83 კაცი დაიღუპა. 450 დაშავდა, დანგრეულია 10.000 სახლი, 200.000 კაცი უსახლკაროდ დარჩა.**

ქვეყანას უდიდესი ზარალი მოუვიდა. ჩილეს ისტორიაში ერთ-ერთი უძლიერესი ამ სტიქიური უბედურების დროს განსაკუთრებით გამოვლინდა ჩილელი ხალხისა და მისი ხელმძღვანელების სიმამაცე და გმირობა.

სახალხო ერთიანობის მთავრობამ დაუყოვნებლივ მოაწყო აღდგენითი სამუშაოები. ჯერ კიდევ არ გათენებულიყო ტრაგიკული ღამის შემდეგ, რომ ქვეყნის გზებზე უკვე დაიძრა სატვირთო მანქანების კოლონები დაზარალებულთა დასახმარებლად, მუშაობას შეუდგნენ სპეციალური ბრიგადები, მუშებმა ყოველი ღონე იხმარეს საწარმოების, ქარხნების, ნავსადგურების შეუფერხებელი მუშაობისათვის.

ახლა დაზარალებულ რაიონებში მოსდით სამედიცინო დახმარება და სურსათი. ენერგიულად მოქმედებენ პროფკავშირები, ახალგაზრდათა და მასობრივი ორგანიზაციები, ჯარისკაცები, მეზღვაურები, სტუდენტები.

## მოგზაურობა და მოგზაურები

## ამუნდსენის გზით

**კოლინ ირვინს**, 25 წლის ინგლისელს ბორნემუტიდან, იმედი აქვს რომ წელიწადნახევრის განმავლობაში გაივლის ჩრდილოეთ ამერიკის გარშემო ცნობილი პოლარული მკვლევარის ამუნდსენის მარშრუტით. ამუნდსენმა თავის დროზე ამ გზას სამი წელი მოანდომა.

ირვინის მარშრუტი გავა იუკონზე (შესართავამდე), ბერინგის სრუტესა და ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანეზე. ჩრდილოეთის მუდმივი მღუმარების პირობებში იგი გაივლის 5-6 ათას კილომეტრს.

თუ მისი სპეციალურად აღჭურვილი ნავი „ინდევორი" („სწრაფვა") ჩრდილოეთ ამერიკის ირგვლივ მოგზაურობის შემდეგ კარგ მდგომარეობაში იქნება, ირვინი შეეცდება გადალახოს ატლანტის ოკეანეც ინგლისამდე.

## დედამიწის გარშემო...

**ოცდარვა წლის** ირანელმა აბდოლალი ლოლაგარმა გადაწყვიტა თავისებური რეკორდის დამყარება: მან უნდა გადალახოს ევროპა, აფრიკა და ლათინური ამერიკა... ჯორით. სტარტს ქალაქ ბაზარგანში — ირან-თურქეთის საზღვარზე აიღებს. ჯორის გარდა ახალგაზრდა მოგზაურს თან მიჰყავს საყვარელი ძაღლი.

— მე არასოდეს არ მიფიქრია მსოფლიოს გარშემო მოგზაურობაზე, — განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში აბდოლალი ლოლაგარმა, — მაგრამ უცებ გადავწყვიტე და სწორედ ჯორით და არა სხვა რამით. ეს აზრი მოულოდნელად მომივიდა თავში.

— რატომ მაინცადამაინც ჯორით? — ჰკითხეს ცნობისმოყვარე რეპორტიორებმა.

— რატომაც არა, ჯორი ხომ გადაადგილების ისეთივე ეფექტური საშუალებაა, როგორც სხვა ტრანსპორტი, — განაცხადა მოგზაურმა.

ამ უცნაური მოგზაურის შესახებ თავის მკითხველებს აცნობა თეირანის გაზეთმა „კეიხან ინტერნეშნლმა".

# საქართველოს თვალწარმტაცი მხარე

## საბჭოთა აჭარა 50 წლისაა

# განახლებული, აღორძინებული

**ა. თხილაიშვილი,**
**საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი**

დღეს აჭარის მშრომელებს ზეიმი აქვთ, ზეიმი თავისი ახალი ცხოვრების მშენებლობის წარმატებათა გამო. ახლა ისინი თვალს ავლებენ განვლილ გზას. ეს გზა აღსავსეა დიდი მნიშვნელობის ამბებით.

ორმოცდაათი წლის წინათ, 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, მოძმე ხალხების, პირველ რიგში დიდი რუსი ხალხის დახმარებით საქართველოს მიწა-წყლიდან განდევნეს ქართველი ხალხის მტრები — მენშევიკები, დაამხეს მათი ბატონობა და დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება.

სოციალისტური რევოლუცია ფართოდ გავრცელდა მთელ საქართველოში. 1921 წლის 18 მარტს აჭარის მუშათა და გლეხთა რაზმებმა ბათუმში შემოსული წითელი არმიის ნაწილების დახმარებით მენშევიკები განდევნეს მათი უკანასკნელი ფორპოსტიდან — ბათუმიდანაც და განამტკიცეს ბათუმის ოლქის სამხედრო რევოლუციური კომიტეტის მიერ 17 მარტს ღამით ქ. ბათუმში ძალაუფლების აღების ფაქტი.

აჭარაში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარება აჭარის მშრომელებს 19 მარტს მხურვალედ მიულოცა საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა. 1921 წლის 20 მარტს შეიქმნა ბათუმის საოლქო რევოლუციური კომიტეტი, რომელიც დაუყოვნებლივ შეუდგა აჭარაში პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული გარდაქმნების განხორციელებას. აჭარაში საზოგადოებრივი და სამეურნეო გარდაქმნების ღონისძიებების პირველსავე თვეებში განხორციელდა ლენინური ეროვნული პოლიტიკა, 1921 წლის 17 ივლისს საქართველოს რევკომის № 54 დეკრეტით შეიქმნა აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, რომელსაც დღეს უსრულდება სახელოვანი ორმოცდაათი წელი.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა აჭარის მოსახლეობისათვის. მშრომელთა მასები, ბათუმის მუშები, აჭარის გლეხობა, ინტელიგენცია აქტიურად ჩაებნენ პოლიტიკურ ცხოვრებაში, რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურული რევოლუციის დიდი ძალა — ქალი უკანასკნელი სამი საუკუნის მანძილზე ფაქტიურად პირველად გამოვიდა საზოგადოებრივი ცხოვრების გზაზე, უფლებრივად პირველად გახდა მამაკაცის თანაბარ მოქალაქედ. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების წყალობით აჭარის მოსახლეობამ მთელ ქართველ ხალხთან ერთად თავი დააღწია უცხოელთა პარპაშს და მათი ბატონობის საშიშროებას. მართალია, აჭარა 1878 წლის ზაფხულიდან შემოუერთდა დედასამშობლოს, მაგრამ აჭარის მუშებმა და გლეხებმა, პროლეტარულმა მოსახლეობამ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით პირველად შეიგრძნო სოციალური შვება. აჭარა სამართლიანად ამაყობს სახელოვანი რევოლუციური ტრადიციებით. ამ რევოლუციურ ტრადიციებს ქმნიდნენ თავის დროზე ბათუმში მომუშავე გამოჩენილი რევოლუციონერები, ხალხის თავისუფლებისათვის მებრძოლები: ი. სტალინი, გ. ფრანჩესკი, გრ. სულორაშვილი, ი. ლუზინი, ი. კოგანი, ა. წულუკიძე, ს. თოდრია, ს. ლომჯარია და სხვები.

საბჭოთა წყობილების დამყარებამ დასაბამი მისცა აჭარის დიდ სამეურნეო გარდაქმნებს, სოციალისტური მრეწველობის, სოფლის მეურნეობის შექმნისა და კულტურული რევოლუციის განხორციელებას.

აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურული განვითარება-დაწინაურებით როგორც ადრე, რევოლუციის დროს, შემდეგშიც პირადად დაინტერესებული იყო ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი. 1921 წლის მარტში, პარტიის X ყრილობის ტრიბუნიდან ლენინმა განაცხადა: „წაიკითხეთ თუ არა გაზეთში, რომ იხსნება ბაქო-თბილისის ნავთსადენი? თქვენ მალე წაიკითხავთ, რომ ასეთი ნავთსადენი გაყვანილია ბათუმამდე. ეს გზას გაგვიხსნის მსოფლიო ბაზრისაკენ".

მალე ახდა ვ. ი. ლენინის წინასწარხედვა, ბაქო-ბათუმის ნავთობსადენის და ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის მშენებლობის დამთავრება ამიერკავკასიაში ინდუსტრიალიზაციის ლენინური კურსის გამარჯვების ერთ-ერთი მძლავრი არტერია გახდა.

წინათ ეკონომიურად და კულტურულად ჩამორჩენილი აჭარა ისტორიულად მოკლე დროში განვითარებული ინდუსტრიის და სოფლის მეურნეობის, დაწინაურებული კულტურის რესპუბლიკად გადაიქცა. ახლა აჭარის სამრეწველო საწარმოთა რიგში დგას ასობით ფაბრიკა და ქარხანა.

შარშან აჭარის მრეწველობის მუშაკებმა ვადაზე ადრე — 11 ნოემბრისათვის შეასრულეს პროდუქციის წარმოების ხუთწლიანი გეგმა და რეალიზაცია უყვეს 40 მილიონ მანეთისაზე მეტ ზეგეგმითს პროდუქციას. 1965 წელთან შედარებით აჭარის სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობა გაიზარდა 42 პროცენტით, მნიშვნელოვნად გადაჭარბებულ იქნა შრომის ნაყოფიერების ამაღლების, მოგების გადიდებისა და თვითღირებულების შემცირების დასახული გეგმები. გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი, გადაჭარბებით შესრულდა მიმდინარე წლის 6 თვის დავალებებიც.

ფრთებს შლის საქართველოს სსრ საზღვაო სანაოსნო, რომლის ცენტრია ქალაქ ბათუმში.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში მომხდარმა სოციალისტურმა გარდაქმნებმა სავსებით შეუცვალა სახე აჭარის სოფლის მეურნეობას, რომელიც რევოლუციამდე წვრილგლეხური, ჩამორჩენილი იყო. მშრომელ გლეხთა ძირითადი მასა მიჯაჭვული იყო მემამულეების მიწაზე.

მოსავლიანობისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის კვალობაზე ყოველწლიურად იზრდება კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეების შემოსავალი. შრომის გარანტირებულმა ანაზღაურებამ ხელი შეუწყო მატერიალური დაინტერესების პრინციპების განხორციელებას, აამაღლა შრომის დისციპლინა.

მერვე ხუთწლედში სოფლის მეურნეობის დარგში მოპოვებული თვალსაჩინო წარმატებანი დამაჯერებლად გვიჩვენებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტისა და შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებათა დროულობას და მიზანშეწონილობას. ამ გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით აჭარის კომუნისტებმა და მშრომელებმა მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის დავალებათა შესრულებაში. აჭარის მეჩაიეებმა გასულ ხუთწლედში მოკრიფეს და სახელმწიფოს მიჰყიდეს 181,525 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რაც 16.160 ტონით აღემატება ხუთწლედის გეგმას, ჩვენმა მეციტრუსეებმა შარშან სახელმწიფოს მიჰყიდეს 81 ათას ტონაზე მეტი ციტრუსოვანთა ნაყოფი — გეგმაზე სამჯერ მეტი.

აჭარის ასსრ-ის მშრომელებმა თავი ისახელეს საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის მძიმე წლებში. ისინი ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხთან ერთად ჩაებნენ საძულველი მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ომისშემდგომ წლებში ახალი ძალით გაჩაღდა მუშაობა სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგის მძლავრი აღმავლობისათვის.

დიდი ცვლილებები მოხდა მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაში, სწავლა-განათლება და კულტურა მისაწვდომი გახდა ყველა ადამიანისათვის. წლითიწლობით ფართოვდება სკოლების, სასწავლებლების, სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების ქსელი. ახლა აჭარაში 486 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაა, რომლებშიც 68.900 ბავშვი სწავლობს. პედაგოგთა კვალიფიციურ კადრებს ამზადებს ბათუმის რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი. ბათუმში არსებობს თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საღამოს დასწრებული განყოფილება.

დიდი მიღწევებია ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში. აჭარაში მომუშავე მწერლებმა შექმნეს მნიშვნელოვანი ნაწარმოებები, ისინი ასახავენ ჩვენი ხალხის ცხოვრებაში მომხდარ ღირსშესანიშნავ მოვლენებს, იმ ცვლილებებს, რაც საბჭოთა ადამიანების სულიერ სამყაროში მოხდა. ნაყოფიერად მუშაობენ აჭარის მხატვრები, რომლებმაც შექმნეს ბევრი კარგი მხატვრული ტილო და სკულპტურული ნაწარმოები.

სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობის დამყარებამ წარმოშვა და განამტკიცა ხალხთა მეგობრობა, დააჩქარა მორალსა და ყოფაცხოვრებაში საერთო კომუნისტური ტენდენციების ჩამოყალიბება. დღეს ჩვენი რესპუბლიკის საწარმო-დაწესებულებებში ერთიმეორის მხარდამხარ მეგობრულად შრომობენ ორმოცამდე ეროვნების წარმომადგენლები.

სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობისათვის ბრძოლაში აჭარის მრავალმა პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა და სამეურნეო ხელმძღვანელმა, მუშამ, კოლმეურნემ და ინტელიგენციის წარმომადგენელმა ისახელა თავი. აჭარაში ბევრია რევოლუციის, ომისა და შრომის ვეტერანი, რომელთა სახელოვან ტრადიციებზე აღიზარდნენ და იზრდებიან კომუნისტური საზოგადოების აქტიური მშენებლები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დიდად დააფასეს აჭარის მშრომელთა მიერ გაწეული შრომა, სახალხო მეურნეობასა და კულტურულ მშენებლობაში მოპოვებული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ლენინის ორდენით დააჯილდოვა.

ამჟამად აჭარაში ფართო პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარება სუფევს, რაც სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლამ გამოიწვია. ყრილობის დირექტივები მეცხრე ხუთწლიანი გეგმის შესახებ აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ყველა მშრომელთა შრომითი ცხოვრების საპროგრამო დოკუმენტი გახდა.

მეცხრე ხუთწლედში კიდევ უფრო განვითარდება აჭარის ასსრ სახალხო მეურნეობა, მრეწველობის საერთო პროდუქცია გაიზრდება 31,6 პროცენტით.

ახალ ხუთწლედში 37-40 პროცენტით გაიზრდება შრომის ნაყოფიერება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ფართოდ დაინერგება კომპლექსური მექანიზაცია მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობაში, გაუმჯობესდება კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესება, შრომის ორგანიზაცია და დისციპლინა.

განვლილია სახელოვანი ნახევარი საუკუნე — ახალი ცხოვრების მშენებლობის, აღორძინებისა და აყვავების დიადი წლები. აჭარის ასსრ-ის დროშაზე ბრწყინავს ლენინის ორდენი, როგორც მშრომელთა მამაცური ბრძოლისა და შემართების აღიარება. თავიანთი ავტონომიური რესპუბლიკის არსებობის 50 წლისთავს რომ აღნიშნავენ, აჭარის მშრომელები ირაზმებიან, რათა კვლავაც თავდადებით იბრძოლონ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის.



ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა ერთ-ერთი მოწინავე საწარმოა. იგი 18 სახის პროდუქციას ამზადებს. მათგან მნიშვნელოვანი ნაწილი საექსპორტო დანიშნულებისაა.

სურათზე ზემოთ — (მარცხნიდან მარჯვნივ): ოპერატორის თანაშემწე ს. ახვლედიანი, უფროსი ოპერატორი ნ. თარგამაძე, ოპერატორის თანაშემწეები ც. მიქაშავიძე და ა. კაცაძე.

ფოტო ვ. ბაბაიანისა.

ქვედა სურათზე აღბეჭდილია ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო" ქობულეთის რაიონის სოფელ ორხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის პლანტაციებში. წელს ამ მეურნეობაში მანქანებით 310 ტონა ხარისხოვან ჩაის ფოთოლს მოკრეფენ.

ფოტო ნ. ანასტასიევისა.



**შოთა ზოიძე**

## შენდა დიდებად

ჩაუქრობელი
ფერებით ბრწყინავ,
გალეწილ ხორბლის
აგდის სურნელი,
მე ვავსებ იმას,
რაც გაკლდა წინათ,
მე ვარ ის, რისიც
იყავ მსურველი.
შენდა დიდებად
ქვაც კი ღაღადებს.
ქვებიც დადაღეს,
შანთით ამოწვეს.
ვხედავ ჭოროხთან
დაღლილ კახაბერს,
დგას და შენს ახალ
დღეებს ამოწმებს...
და სიხარული
სუნთქვას მიძნელებს,
რომ ასე ლამაზ
დროზე გეახელ.
ხარ ჩემთა დღეთა
დიდი სიძველე,
შენი სიძველის
მე ვარ სიახლე.
ჩაუქრობელი
ფერებით ბრწყინავ,
ნურც მომეშალოს
შენი სურნელი.
მე ვავსებ იმას,
რაც გაკლდა წინათ,
მე ვარ ის, რისიც
იყავ მსურველი.

# დიდებულია იგი ქვეყანა...

**წინაპართ უთქვამთ**

დიდხანს იტანჯებოდა აჭარის მოსახლეობა თურქეთის ბატონობის მძიმე უღლის ქვეშ. მაგრამ 1878 წლის ზაფხულიდან აჭარა შემოუერთდა დედასამშობლოს — საქართველოს. ეს იყო დიდი ისტორიული მნიშვნელობის აქტი, რომელიც 93 წლის წინათ განხორციელდა.

ოსმალოს საქართველოს დიდი პატივსაცემი და სახელოვანი ღვაწლი მიუძღვის ჩვენის ერის ისტორიაში, დიდი შრომა გაუწევია, დიდი მსხვერპლი მოუტანია, მრავალი სისხლი დაუნთხევია ჩვენთან ერთად საქართველოს ერის თვითარსებობისათვის. გარდა იმისა, რომ ჩვენ ვართ ერთი სისხლისა და ხორცისანი, ერთისა და იმავე ენით მოლაპარაკენი, ერთი ისტორიაცა გვქონია...

**ილია ჭავჭავაძე**
1877 წ.

დღევანდელი ლხინი სხვაგვარია: მხიარულება უნაკლო და სიხარული უღრუბლო. ამის მიზეზია დროთა ვითარებისაგან დაშორებულის ჩვენი მოძმეების (აჭარლების) დღეს ხელახლა ჩვენთან შემოერთება და ძლიერად შეკავშირება.

**აკაკი წერეთელი**
1878 წ.

დიდი სიამოვნებით ვეგებები მუსლიმან ძმებისათვის ჩვენი საზოგადოების ყურადღების გამახვილებას. ავადმყოფის სარეცელზე სხეულით დაუძლურებულს სულს მილხენს იმედი, რომ ქრისტიან და მუსლიმან ქართველებს ეროვნული დუღაბი კვლავ შეაერთებს, პირადად დამივლია აჭარა... დიდებულია იგი ქვეყანა...

**ვაჟა ფშაველა**
1915 წ.

ბათუმის კოფეინის ქარხანაში მოსკოვის მეტალურგიული ინსტიტუტიდან დარეკეს, ორმა მეცნიერმა მუშაკმა ცდის დროს სახისა და სხეულის მწვავე დამწვრობა მიიღო, მათი სიცოცხლე საფრთხეშია, თუ შეგიძლიათ, სასწრაფოდ დაგვიმზადეთ და მოგვაწოდეთ ალოეს მალამო. მეკოფეინეები უმალვე შეუდგნენ დავალების შესრულებას და იმავე დღეს თვითმფრინავით მოსკოველებს გაუგზავნეს საჭირო პრეპარატი.

ეს ერთადერთი შემთხვევა როდია. ქარხანა ორგანიზაციებისაგან დიდი რაოდენობით იღებს წერილებს, რომლებშიც ითხოვენ უნიკალურ პრეპარატებს. დირექცია შეძლებისდაგვარად ეხმარება მათ.

ბათუმის კოფეინის ქარხანას ტყუილად როდი შეარქვეს სიცოცხლის ელექსირის საწარმო. ვინ მოთვლის, რამდენი ათასი ადამიანი გადაურჩენია აქ დამზადებულ პრეპარატებს. იგი ერთადერთია ევროპაში, სადაც ჩაის ნედლეულისაგან მზადდება ნატურალური კოფეინი. ამიტომაც მასზე განსაკუთრებული მოთხოვნილებაა. მსოფლიოს ოცდაათამდე ქვეყანას ეგზავნება ბათუმური უნიკალური წამლები, მათ შორის არგენტინას, ევროპის დემოკრატიულ ქვეყნებს, ვიეტნამს და სხვ.

ჩაის კოფეინი ადამიანის ორგანიზმის აღმგზნებ ფუნქციას ასრულებს, ხელს უწყობს სისხლძარღვების გაფართოებას, ამაღლებს გულის მოქმედებას.

წლითიწლობით იზრდება ბათუმის კოფეინის ქარხნის წვლილი ჩვენი ქვეყნის სამედიცინო მრეწველობაში. იგი სისტემატურად აფართოებს სამკურნალო პრეპარატების ნომენკლატურას. კოფეინს გარდა არის პრეპარატები, რომლებიც კავშირის მასშტაბით მხოლოდ ბათუმში მზადდება. ასეთებია ალოეს წვენი, ალოეს სიროფი რკინით, ალოეს მალამო, უნიკალური პრეპარატები — კოლხამინის მალამო კანის დაავადების საწინააღმდეგოდ; კოლხამინის ტაბლეტები კუჭის დაავადებათა საწინააღმდეგოდ; კილინი — ბრონქიალური ასთმის საწინააღმდეგოდ; ტეალბინი — ნაწლავების დაავადებათა საწინააღმდეგოდ და სხვ.

კოფეინის ქარხანას, ისევე როგორც ყველა მნიშვნელოვან საწარმოს, თავისებური ბიოგრაფია აქვს. ახლანდელი ქარხნის ადგილას წინათ იყო სალებავების დამამზადებელი კუსტარული ტიპის სამქრო. 1935-1936 წლებში აკადემიკოსმა ი. ქუთათელაძემ ჩაის ნედლეულის დამუშავებისაგან პირველად მიიღო ნატურალური კოფეინი. ინჟინერმა შ. შალამბერიძემ აკადემიკოს ქუთათელაძის ჩანაფიქრს ტექნოლოგიურად შეასხა ფრთები. ასე ჩაეყარა საფუძველი მსოფლიოში ცნობილ ბათუმის კოფეინის ქარხანას. იგი, როგორც რესპუბლიკის პირმშო, თანდათან იდგამდა ფეხს.

პირველად ქარხანაში მზადდებოდა სამი სახის პრეპარატი. ტექნოლოგია მაშინ მარტივი იყო. პრეპარატების ეფექტურმა მოქმედებამ დღის წესრიგში დააყენა ქარხნის გაფართოების საკითხი.

# მალამო გულისა

**ერთადერთი ევროპაში**

1959 წლიდან საწარმოს სათავეში ჩაუდგა ალან კონცელიძე. უნარიანი ხელმძღვანელის გარშემო შემოიკრიბნენ მეკოფეინეები. ასე თანდათან ქარხნის ეზოში აღიმართა ახალი კორპუსები, ამუშავდა ახალი საამქროები და ლაბორატორიები, კეთილმოეწყო საწარმოს ეზო-მიდამო.

1960 წელს მწყობრში ჩადგა პირველი უწყვეტი მოქმედების ექსტრაქტორი, რაც სიახლე იყო ქვეყნის სამედიცინო მრეწველობაში. ამას მოჰყვა ქიმიურ-ფარმაცევტული პრეპარატების ახალი საამქროს გახსნა, სადაც აითვისეს პლატიფილინის, ნერიოლინის, კელინისა და სხვა წამლების დამზადება. ამ დროისათვის კოფეინის წარმოება ორ-სამჯერ გაიზარდა. მიუხედავად ამისა, ქარხანას დოტაციის გარეშე უძნელდებოდა არსებობა. სახელმწიფო ყოველწლიურად 500-600 ათასი მანეთით ეხმარებოდა.

საწარმოში რაც უფრო მეტად ინერგებოდა ტექნოლოგია, კოლექტივი რაც უფრო მეტად ეუფლებოდა მექანიზაციას, საქმე აღმავლობით მიდიოდა. მაგრამ ეს ღონისძიებები საკმარისი არ იყო დოტაციაზე უარი ეთქვათ. მაშინ ერთსულოვნად დაირაზმა მთელი კოლექტივი. ახალმა ეკონომიური სტიმულირების მეთოდმა, ნედლეულიდან პროდუქციის გამოსავლიანობის გაზრდამ, მასალების ყაირათიანმა ხარჯვამ, თვითღირებულების შემცირებამ, ჩამორჩენილ უბნებზე მოწინავე კომუნისტების მიმაგრებამ, მუშა-მოსამსახურეთა პირობების გაუმჯობესებამ თავისი გაიტანა. და აი 1968 წლის მეორე ნახევარში ქარხანას აღარ დასჭირდა დოტაცია. ხოლო ერთი წლის შემდეგ სახელმწიფოს მისცა ერთი მილიონ სამოცდათხუთმეტი ათასი მანეთი მოგება.

ქარხანა ყოველწლიურად ივსება კვალიფიციური კადრებით. შარშან სამმა ახალგაზრდამ დაამთავრა ლენინგრადის ქიმიურ-ფარმაცევტული ინსტიტუტი. ისინი სწავლის მთელ პერიოდში სტიპენდიას იღებდნენ ქარხნიდან. დამთავრების შემდეგ მშობლიურ საწარმოს დაუბრუნდნენ.

— ჩვენი პრეპარატები მსოფლიოს გამოფენებზე მოწონებას იმსახურებენ, — კმაყოფილებით აღნიშნა ქარხნის დირექტორმა ა. კონცელიძემ. „ექსპო-70" იაპონიაში გავგზავნეთ კიბოს საწინააღმდეგო წამლები. ახლა ჩვენი პრეპარატები მსოფლიო სტანდარტების დონეზე დგას.

1970 წელს ქარხანაში მრავალი სიახლე დაინერგა. ამუშავდა ავტომატური ხაზი, რომელიც ცელოფანის პარკებში ახვევს წამლებს. ერთმა ხაზმა 10 ადამიანის შრომა შეცვალა. გაიზარდა პრეპარატების ნომენკლატურა და გამოშვება. აითვისეს ტაურემიზინის წარმოება, 46 პროცენტით გაიზარდა კოფეინის გამოშვება. მეკოფეინეებმა გასული წელი წარმატებით დაამთავრეს. დიდი გადაჭარბებით შესრულდა 1971 წლის პირველი ნახევრის გეგმები.

სიახლეები აღინიშნება მიმდინარე წელს, ფართოვდება საამქროები, ინერგება მთელი რიგი შრომატევადი პროცესები — ავტომატიზაცია და მექანიზაცია. ყველა საფუძველია, რომ ბათუმელმა მეკოფეინეებმა წარმატებით დაამთავრონ მეცხრე ხუთწლედის პირველი წელი.

**მ. გორგილაძე,**
**„კომუნისტის" საკ. კორ.**

# საზღვაო ჭიშკარი

საქართველოს საზღვაო სანაოსნო ოთხნახევარი წლისაა. მისი შექმნა ღირსშესანიშნავი მოვლენა იყო ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიურ ცხოვრებაში. ამ ღონისძიებით საქართველო ოფიციალურად ჩადგა მსოფლიოს საზღვაო სახელმწიფოთა შორის. მისი ადგილსამყოფელი საბჭოთა აჭარის დედაქალაქ ბათუმშია. შავი ზღვის აუზში ბათუმი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნავსადგურია, იგი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამრეწველო ქალაქია. ბათუმური ნავთობი ძირითადად საექსპორტო დანიშნულებისაა, აქედან ყოველწლიურად დიდი რაოდენობით იგზავნება ნავთობპროდუქტები საზღვარგარეთ, ასევე იგზავნება ჩაი, ციტრუსები, მძიმე და მსუბუქი მრეწველობის ნაწარმი.

ახალი სანაოსნო ყოველწლიურად შლის ფრთებს; მის განკარგულებაში ამჟამად ორმოცამდე ტანკერია, მათ შორის ტანკერები „თბილისი", „ნიკოლოზ ბარათაშვილი", „ქუთაისი", „ფოთი", „გორი", „ახალციხე", „ანაკლია", „ზუგდიდი" და სხვები. სანაოსნოს ახლახან შეემატა შესანიშნავი ტანკერი „საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავი". ხოლო წლის ბოლომდე მწყობრში ჩადგება „ბათუმი".

საქართველოს სანაოსნოს შექმნის შემდეგ ჩვენთან სამუშაოდ გადმოვიდა მრავალი ნიჭიერი ზღვაოსანი, მაგალითად, კაპიტნები რ. ახობაძე, ა. ბროკიშვილი, ზ. პატარაძე, ვ. ხომერიკი, ი. შანიძე, ი. ჯინჭარაძე, ა. მესხიძე და სხვები. ჩვენი კადრების ძირითადი სამჭედლოა ბათუმის საზღვაო სასწავლებელი, რომელმაც არაერთი სახელოვანი მეზღვაური გაზარდა.

ბათუმი ჩვენი ქვეყნის საზღვაო ჭიშკარია, ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქია სატვირთო და სამგზავრო ნავმისადგომებით. აქ ყოველწლიურად ათასამდე სამგზავრო ხომალდი, ტანკერი და მშრალი ტვირთისათვის განკუთვნილი გემი შემოდის.

არ არის დღე, სატვირთო ნავსადგურში რეიდზე რამდენიმე ხომალდი რომ არ იდგეს. ტანკერები უხმაუროდ იტვირთება ნავთობპროდუქტებით, სატვირთო ხომალდებთან დიდი ჯაფა ადგათ ხორთუმიან ზემძლავრ ამწეებს. იგზავნება სამამულო მრეწველობის პროდუქცია: მანქანები, ციტრუსები, ჩაი; მოდის შაქარი, ხორბალი, ფქვილი. ახლა ბათუმის ნავსადგურიდან 30 ქვეყანაში მიაქვთ ტვირთი ჩვენს ხომალდებს.

საქართველოს საზღვაო სანაოსნო ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მოწინავე სანაოსნო გახდა. ყოველწლიურად იზრდება სანაოსნოს ტონაჟი და ცურვის რაიონები. მთელი ფლოტი წლების მანძილზე რიტმულად მუშაობს, ამაღლდა შრომის ნაყოფიერება, სახელმწიფოს მივეცით მილიონობით მანეთის ეკონომია, რისთვისაც რამდენჯერმე დავიმსახურეთ სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის სამინისტროს პრემიები, გამარჯვებული გამოვედით სოციალისტურ შეჯიბრებაში.

წარმატებები მოპოვებულია მეზღვაურების, ნავსადგურის მუშების და სანაოსნოს სახმელეთო ორგანიზაციების მუშაკთა თავდადებული შრომით.

ამჟამად ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება ფლოტის ტექნიკური პროგრესის ასამაღლებლად, გემების ექსპლოატაციის გასახანგრძლივებლად, ტვირთის ნაკადის გასაზრდელად, შემჭიდროებულ დროში გემების დასამუშავებლად.

საქართველოს სანაოსნოს მრავალრიცხოვანი კოლექტივები, დგანან რა მეცხრე ხუთწლედის შრომითს ვახტზე, წარმატებით შეასრულებენ სახელმწიფო გეგმებს, შორეულ ზღვებსა და ოკეანეებში ღირსეულად ატარებენ ჩვენი სამშობლოს ალამს.

**ა. კაჭარავა,**
**საქართველოს საზღვაო სანაოსნოს უფროსი.**



# მითხარ...

**ფრიდონ ხალვაში**

მითხარ, როგორაა მემლექეთი, ჩემი სანატრელი საქართველო, რამე იმნაირი გამაგონე, გული დაკოდილი გავამთელო.

ასე ითარგმნა პოეზიის ენაზე ის კითხვა, რაც ხშირად მსმენია ჩვენებურებისაგან თურქეთის გზებზე.

ლუკმა არ მაკლია, მართალია, მაგრამ სამშობლოთი ღარიბი ვარ... — შემომჩივლებდნენ ხოლმე მეორენი.

კაი მექართულე ველარა ვარ, მაგრამ სული მიდუღს იმოდენა, რომ შიგ სიტყვა მარად მშობლიური როგორც გაზაფხული იტოტება, — ამიხსნიდნენ დამორცხვებულად მესამენი. მაგრამ მათი ქართული, ჩემთვის მაინც ახლობელი, ჩვენებური, — სამხრეთული, ძველ ღვინოსავით გემრიელი იყო და ბედნიერების ჟრუანტელით გამაბრუებელი.

— მითხარ, როგორაა მემლექეთი... — მეხვეწებოდა ბიძაშვილი, რომელიც ძალიან ახალგაზრდა იყო და შეეძლო შემოწოლილი სევდის დამალვა, მაგრამ მემლექეთზე, საქართველოზე რომ დავიწყებდი საუბარს, იგი თვალებს ამარიდებდა. ალბათ ცრემლს მიმალავდა.

ახლა მანქანის საჭეს ვუზივარ. მარტო ვარ. კვირადღეა. აი, კახაბრის ველი გადავსერე და ჭოროხს მივადექი. ხიდიც გავიარე და მარჯვნით, თეთრი ევკალიპტების ხეივანში ჩაფლულ გზას გავყევი.

სარფის გზაა ეს, მაგრამ ჯერ გონიოში ვარ.

დღეს რატომღაც ასე მარტოს მომინდა აქეთ გასეირნება. არა, ეს არ არის გასეირნება. მინდა ერთხელ კიდევ დავაკვირდე ყოველივეს აქ, გავიხსენო რაღაც, მშვიდად ვიფიქრო და თან ჩუმად, აუჩქარებლად ვესაუბრო ყოველივე ამაზე მეხსიერებაში ჩასახლებულ ამ შორეულ თანამოძმეებს.

ეს არ არის უბრალო გასეირნება. ეს სულისა და გულის დაძაბული მუშაობაა.

მე მშობლიური მიწა მეძახის, აქაური თუ იქაური თანამოძმე მთხოვს, — მითხარ... უნდა ვუთხრა. ამას მოითხოვს „კავშირი გულთა შორის".

ანტენის წვრილი ჯოხი ჰაერში ეძებს თბილისს. მესმის ნაცნობი ხმა. ჰაერი სავსეა ქართული სიტყვით. იქნებ ჩემი ბიძაშვილიც, სადღაც ბურსასთან, უსმენს ამ ხმას.

მაშ, მოისმინე, ძვირფასო ჩემო, ეს მე გელაპარაკები.

მე ახლა შენი თვალებით მინდა ვუყურო გონიოს ბებერ ციხეს. შენ ალბათ არავინ გეტყოდა, თუ რა ციხე-ქალაქი ჰქონდათ შენს წინაპრებს ამ ალაგას, ჭოროხთან. რა მაგარია და მყარი მისი კედლები დღესაც. რამოდენა ლოდები დაგვითლია მე და შენ მაშინ, ათასი წლის წინათ. რა ძლიერად შეგვიდუღაბებია კედლები, რა ლამაზად გვიშენებია მარადისობისათვის. შევხედოთ ამ კედლებს და ვიფიქროთ წუთით.

ეს იყო კოლხიდის შეუვალი ჭიშკარი, ამ კედლებზე შუბლი მიუხლია რომს, აქ გაუმართავს ჭაბუკ ლაშა გიორგის ქართული მხედრობის აღლუმი. აქ ჩამოუვლია საფრანგეთიდან დაბრუნებულ დაღლილ-დანაღვლიანებულ საბა-სულხან ორბელიანს, აქ უტირია ვაჟას, აქ ფიქრებში განმარტოებულა გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ლეონიძეს ამ კედელთან უთქვამს თავისი ახალი ლექსი.

ახლა, ირგვლივ რომ სოფელია გაშლილი, იმას შეხედე, მწვანე ნარინჯებში თეთრი სახლებია ცისფერი ფანჯრებით.

სოფელი გონიო. კარგი კოლმეურნეობა. მდიდარი ოჯახები. გულუხვი ხალხი.

ირგვლივ — ლამაზი, საოცრად ცოცხალი, ნათელი და სავსე დღევანდელი დღე. ხოლო ყოველ ნაბიჯზე ახალს ესიტყვება ძველი, მრავლისმთქმელი დუმილით და წყურვილდაუოკებელი სიცოცხლით.

სწორედ აქ, აჭარაში, ყოველ ნაბიჯზე მძაფრად იგრძნობა საქართველოს სიძველეც და სიახლეც.

გზას, როგორც ლექსის სტრიქონს, ველარ ვცილდები, მივყვები დასასრულამდე.

ამ გზას მხოლოდ მიწაზე აქვს დასასრული და არა ჩემს სულში.

აი სარფიც, — ბოლო წერტილი ჩემი სტრიქონისა. მაგრამ ლექსი გაგრძელებას მთხოვს.

არ ვიყავით მართალნი პოეტები, გამოღმა და გაღმა სარფს სხვადასხვა ფერში რომ ვხატავდით. მიწა ორივე ერთია, ერთნაირი ფერით შემოსილი, ერთი ზღვის ტალღის ნაამბორები, ერთი ნიავის მიერ გულში ჩაკრული, ერთი მზის ნაალერსები, ორი ძმის ნაჯაფარი.

მხოლოდ აქაური, გამოღმელი ძმა დიდ მემლექეთშია, საქართველოშია, საბჭოეთშია და ამიტომაც მეტი აქვს სიხარული, ჭირნახული, მეტი ჰყავს ახლობელი. აქ იგი გრძნობს, რომ მისია აჭარა, მთელი საქართველო, მთელი საბჭოთა სამშობლო.

გამოღმელი ძმა ეხატრება და ერიდება გაღმელს, რომ თავად უკეთესი სახლი აიგო, უკეთესი ბაღი მოაშენა. მაგრამ რა ქნას. ასეა: შრომა სადაც ფასდება, შრომა სადაც ჰყავის, იქ ცხოვრება თვითონ გთხოვს, გამიღეთ კარი, გამიშალეთ სუფრები, პირზე ღიმილი გადაიფინეთო.

გაღმა ყველაზე გამორჩეული და დიდი, რაც თვალში გეცემა, მინარეთია, გამოღმა კი — სკოლა. აქ ბავშვები მშობლიურ „დედაენას" დაწაფებულნი შთაგონებით და იმედით ეგებებიან მომავალს.

ჩემი მანქანა ისევ გონიოშია, შემდეგ, ჭოროხის ნაპირ-ნაპირ მივყვები გზას ზემოთ. რამდენ დიდ, სახელოვან ქართველ მწერალსა და მამულიშვილს აღუწერია ეს „ხილოვან-ვენახოვანი" მხარე.

აგერ მაჭახელა. ვაჟკაცური მდინარე, ქუხილით რომ მიიკვლევს გზას და დედა-ჭოროხს კალთაში უვარდება.

რამდენ საიდუმლოს, აქაურ მკვიდრთა გმირულ საქმეს ინახავს ეს ხეობა. დიდი ხანი არ არის, რაც აქ მიაგნეს ძველ სათოფეს, საიდუმლო მაღაროს, სადაც დამპყრობთა ბატონობის დროს მალულად იჭედებოდა ცნობილი თოფი — მაჭახელა.

აგერ კირნათი თავისი დიდებული სკოლა-ინტერნატით, მორთულ-მოკაზმული ეზოებითა და სახლ-კარებით, ბაღჩა-ყანებით.

გაღმა კი მოჩანს შუაგაყოფილი მარადიდი. ისევ ორი სამყარო ერთ სოფელში!

კმარა დღეს!..

ხვალ ზეიმია. ახალი აჭარა, ბედნიერი ქართული მხარე, თავისი საბჭოური ცხოვრების ორმოცდაათს დღესასწაულობს.

ჩამოდი, სანატრელო და ძვირფასო შორეულო ძმაო, დაგვესწარი ამ ზეიმზე, ერთად შემოვძახოთ „ხასანბეგურა", ერთად ჩამოვუაროთ „განდაგანა".

ბათუმი, 15 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ოქრო აჭარის ლაჟვარდში

გვატყობინებს ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი მ. გორგილაძე

## კურორტები გვიხმობს

აჭარის მთა და ზღვის სანაპირო კურორტებით არის დაფარული. ქობულეთი, ციხისძირი, მწვანე კონცხი, მახინჯაური, ცისკარა, ბეშუმი — ხაითაც გაიხედავთ, ყველგან ჯანმრთელობის კერებია.

აჭარაში ყოველწლიურად 150 ათასამდე ორგანიზებული და არაორგანიზებული დამსვენებელი ჩამოდის. ისინი მოდიან მატარებლებით, ავტომანქანებით, თეთრად მოქათქათე ლაინერებით, თვითმფრინავებით. აქ მათი ხულიერი და ფიზიკური დასვენებისათვის ყველა პირობებია შექმნილი.

დღითიდღე იცვლის სახეს საკურორტო ზონა, ალიმართა ახალი კორპუსები, გაშენდა ბაღები და სკვერები. შენდება 928-საწოლიანი პანსიონატი, სანატორიუმ „ქობულეთის“ გამტარიანობა გაიზრდება 380 საწოლით, მის გვერდით აიგება 14-სართულიანი კორპუსი. ზღვის სანაპიროს დაამშვენებს 4 ახალი პანსიონატი.

## მხატვართა წვლილი

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების წინ აჭარაში არც ერთი მხატვარი არ იყო. ადგილობრივ კადრებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ახლა მხატვართა კავშირი ორ ათეულზე მეტ წევრს აერთიანებს. მათ დაამთავრეს თბილისისა და ჩვენი ქვეყნის სხვა სამხატვრო აკადემიები და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ აჭარაში სახვითი ხელოვნების განვითარების საქმეში.

შორს გაითქვეს სახელი შ. ხოლუაშვილმა, დ. ინაიშვილმა, ტ. ჰანტურიამ, მ. ბოლქვაძემ, ხ. ინაიშვილმა, შ. ზამთარაძემ, ა. ფილიპოვმა და მრავალმა სხვამ. მათი ხთობით ნამუშევარი ამშვენებს მუზეუმებს და სხვა სანახაობათა დაწესებულებებს.

მხატვართა კავშირის აჭარის განყოფილებაში მრავალ შემოქმედს მინიჭებული აქვს საქართველოსა და აჭარის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, საქართველოს დამსახურებული მხატვრის წოდება. ფართოდ დამკვიდრდა ჰედური ხელოვნება, რასაც რამდენიმე ნიჭიერი ახალგაზრდა მისდევს.

საქართველოს მოწინავე მხატვართა ტრადიციებზე აღზრდილი აჭარის მხატვრები თავიანთი შემოქმედებით იქცევდნენ და კვლავაც მიიქცევენ საერთო ყურადღებას.

## სტუმრები უცხოეთიდან

მრავალფეროვანი ღონისძიებები ხორციელდება ბათუმის მეზღვაურთა კლუბის ინტერნაციონალურ სექტორში. თითქმის დღე არ გავა ისე, რომ ნავსადგურში ლუზა არ ჩაუშვას უცხოეთის ტანკერმა ან სამგზავრო ხომალდმა. სტუმრებს გულითად მასპინძლობას უწევენ ინტერკლუბში. უჩვენებენ ახალ კინოსურათებს, აცნობენ რესპუბლიკის ღირსშესანიშნაობებს.

ამას წინათ ბათუმელებს ეწვივნენ დაგომეის პროფკავშირების გენერალური მდივანი მესმენ ლეგონუ და პროფკავშირთა სხვა პასუხისმგებელი მუშაკები. ნავსადგურში რამდენიმე დღეს იდგნენ იტალიისა და ნორვეგიის ხომალდები, მათ მასპინძლობდნენ საბჭოთა მეზღვაურები.

შთაბეჭდილებათა წიგნი ყოველდღე ივსება ახალი გულმხურვალე ჩანაწერებით. მარტო წელს ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბმა ემსახურება გაუწია სხვადასხვა ქვეყნის 60 გემის ეკიპაჟს.

## ახალი დადგმა

ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრმა მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა ო. იოსელიანის კომედია „ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი“.

სპექტაკლი დადგა თეატრის მთავარმა რეჟისორმა გ. ქავთარაძემ, მხატვრულად გააფორმა აჭარის ასსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ა. ფილიპოვმა, მუსიკალურად — აჭარის ასსრ დამსახურებულმა მოღვაწემ გ. ნოლაიდელმა.

როლებს ასრულებენ საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები თ. სულხანიშვილი, ნ. წერეთელი, აჭარის დამსახურებული არტისტები ნ. საკანდელიძე, ლ. ყარასაშვილი, ნ. ხინიკაძე და სხვები.



პოპულარობით სარგებლობს აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლი.

ამ ხნის მანძილზე კოლექტივმა, რომელსაც მინიჭებული აქვს მელიტონ კუხიანიძის სახელი, ნახევარმილიონზე მეტ მაყურებელს მოემსახურა.

ანსამბლი დიდი წარმატებით გამოდიოდა მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში., ასეთივე წარმატებით გამოვიდა ანსამბლი ბულგარეთში და არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში.

დღეს ნიჭიერი კოლექტივის რეპერტუარში ასზე მეტი ხალხური სიმღერა და ცეკვა.

სურათზე: ცეკვა „წყაროსთან“ ანსამბლის სოლისტების ჟუჟუნა აბაშიძისა და თეიმურაზ ბოლქვაძის შესრულებით.

ფოტო ნ. ანასტასიევისა (საქდესის ფოტოქრონიკა)

## ბათუმიდან — საზღვარგარეთ

● განუწყვეტელი მუშაობა მიმდინარეობს ბათუმის ცენტრალურ გადასატვირთავ ნავთობბაზაში. რამდენიმე ნავმისადგომზე ერთდროულად მიმდინარეობს ტანკერების დატვირთვა. ახლახან რეიდზე იდგა და შემჭიდროებულ დროში დაიტვირთა ტანკერები „ალაგირი“, „თბილისი“. მათ ნავთობპროდუქტები წაიღეს იტალიაში, „გორმა“ — გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. თავის ჯერს ელოდებიან უცხოეთის ტანკერები.

● კოპენჰაგენის, ლონდონის და მსოფლიოს მრავალ საერთაშორისო გამოფენაზე ერთსულოვანი აღიარება ჰპოვეს „ვოლგის“ ტიპის ბათუმის წყალქვეშაფრთიანმა კატარღებმა. ისინი გამოირჩევიან სისწრაფით, კომფორტაბელურობით.

ახლა ბათუმელი გემთმშენებლები თავიანთ სახელმოხვეჭილ კატარღებს უგზავნიან უცხოეთის ოცზე მეტ ქვეყანას, მათ შორის ინგლისს, დასავლეთ გერმანიას, ბულგარეთს, ჩეხოსლოვაკიას, არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას, დანიას და სხვ.

● შვიდ წელზე მეტია, რაც აჭარის ჩაის პროდუქცია გავიდა საერთაშორისო ბაზარზე და მოწონება დაიმსახურა. სალიბაურის ჩაის ფაბრიკა აჭარაში ერთ-ერთი ვეტერანი ფაბრიკაა. მისმა პროდუქციამ შორს გაითქვა სახელი. აი უკვე მერამდენე წელია ფაბრიკა დიდი რაოდენობით უგზავნის მზა პროდუქციას პოლონეთსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას. წელს კი მათ მიემატა უნგრეთი. ახლახან უნგრელ მშრომელებს გაეგზავნა 20 ტონა მაღალხარისხოვანი არომატული ქართული ჩაი. (საკ. კორ.).

## შ. ეგნატაშვილი



[illegible]

1941 წლიდან შ. ეგნატაშვილი იბრძოდა სამამულო ომის ფრონტებზე. აქ მას ნიშნავენ ჯერ პოლკის, შემდეგ დივიზიის მთავარ ექიმად, ხოლო 1944 წლიდან — ჰოსპიტლის უფროსად.

1947 წელს არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ შ. ეგნატაშვილი საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილედ დანიშნეს.

1953 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე შ. ეგნატაშვილი ხელმძღვანელობდა აკადემიკოს გრ. მუხაძის სახელობის ჰემატოლოგიისა და სისხლის გადასხმის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტს. იგი, როგორც მთავარი ჰემატოლოგი, სათავეში ედგა ჩვენი რესპუბლიკის ჰემატოლოგიისა და სისხლის გადასხმის სამსახურს. მან მთელი თავისი ცოდნა და ენერგია შეალია ამ საქმის განვითარებას. მის კალამს ეკუთვნის 50-ზე მეტი სამეცნიერო შრომა, რომელთა უმრავლესობა მიძღვნილია სისხლის გადასხმის მოქმედების მექანიზმის შესწავლისადმი. აღნიშნულ საკითხს ეხებოდა მისი საკანდიდატო დისერტაცია, რომელიც დაიცვა 1957 წელს, აგრეთვე სადოქტორო დისერტაცია, რომლის დამთავრებაც აღარ დასცალდა.

შ. ეგნატაშვილი იყო მრავალი საკავშირო და საერთაშორისო კონფერენციის, კონგრესისა და სიმპოზიუმის აქტიური მონაწილე, იგი იყო თბილისის ჰემატოლოგთა და ტრანსფუზიოლოგთა სამეცნიერო საზოგადოების ერთ-ერთი ფუძემდებელი და მისი უცვლელი თავმჯდომარე, აგრეთვე საკავშირო ჰემატოლოგიური ჟურნალის სარედაქციო საბჭოს წევრი.

შ. ეგნატაშვილის უმწიკვლო და ნაყოფიერი მუშაობა აღნიშნული იყო მთავრობის ჯილდოებით — ორდენებით, მედლებით და სიგელებით.

შ. ეგნატაშვილი იყო საუკეთესო ბუნების ადამიანი, თანამშრომლებისა და კოლეგების მოსიყვარულე, ერთგული მეგობარი, თავისი სამშობლოს დიდი პატრიოტი.

ნიჭიერი ორგანიზატორის, პრინციპული, თავმდაბალი და გულისხმიერი ადამიანის, საქმის ღრმა მცოდნე სპეციალისტის შ. ეგნატაშვილის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი მახლობლების, მეგობრებისა და თანამშრომლების გულში.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო; მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი; ჰემატოლოგიისა და სისხლის გადასხმის ინსტიტუტი; თბილისის ჰემატოლოგთა და ტრანსფუზიოლოგთა სამეცნიერო საზოგადოება.

## ფოტოსურათები მოგვითხრობენ



ოთხმოცდაათი წლის წინათ ბათუმის ნავსადგურში მხოლოდ ერთი ნავმისადგომი იყო, ისიც ფიცრული ბაქნიდან გემებზე რის ვაივაგლახით გადადიოდნენ... საბჭოთა ხელისუფლების წლებში ნავსადგურმა ზღაპრულად იცვალა სახე. იგი დღეს მსოფლიოს საუკეთესო ნავსადგურთა რიცხვს ეკუთვნის.

• • •

სურათებზე: ძველი (ზემოთ) და ახალი ნავსადგური.



ფოტო ვ. ბრიშჩენკოსი და მ. ბაბაიანისა.

## ორი დრო



ნახევარი საუკუნის წინათ ასეთი სურათი ჩვეულებრივ ამბად ითვლებოდა ბათუმში... თოვლსა თუ ყინვაში, წვიმასა თუ ქარში ავადმყოფი მარხილით მიჰყავდათ უბადრუკ საავადმყოფოში, სადაც ადგილის შოვნა არც ისე ადვილი იყო... (სურათზე ზემოთ); ამჟამად კი აჭარის მშრომელთა ჯანმრთელობას ემსახურება ათობით კეთილმოწყობილი საავადმყოფო და პოლიკლინიკა, სასწრაფო სამედიცინო დახმარების კომფორტული ავტომანქანები. (ქვემოთ).

ფოტო ვ. ბრიშჩენკოსი.



# სპორტის დიდი დღესასწაული

### დღეს მოსკოვში საზეიმოდ გაიხსნება სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადა





მოსკოვი, 15 ივლისი. (ტელეფონით „კომუნისტის“ სპეც. კორ.). ჩვენი ქვეყნის უდიდესი სპორტული ნაგებობა ლუჟნიკში, რომელიც ვ. ი. ლენინის სახელს ატარებს, საგულდაგულოდ მორთეს. დიახ, დედაქალაქში იგრძნობა ჭეშმარიტად დიდი ზეიმი — სპარტაკიადის მაჯისცემა. თითქმის ყველგან თვალში გვხვდება სპორტსმენთა ამ დიდი ფორუმის ამსახველი ნაირფერი აფიშები, ლოზუნგები, პლაკატები, რომლებიც სტადიონისაკენ, სპორტული ბაზებისაკენ უხმობენ მოსკოველებს, სტუმრებს.

### I.

სპარტაკიადა არა მარტო სპორტსმენთა დიდი დღესასწაულია, არამედ საბჭოთა ხალხის დიდი ზეიმიც. ეს არის მსოფლიოს ყველაზე მასობრივ და პროგრესულ სპორტში მოპოვებულ წარმატებათა დათვალიერება, სიჭაბუკისა და ძლიერების დემონსტრაცია და მაღალკვალიფიციურად ასახავს იმ დიდ მზრუნველობასა და დახმარებას, რომელსაც პარტია და მთავრობა იჩენენ ახალგაზრდობის, საბჭოთა ხალხის ფიზიკური აღზრდისა და ჯანმრთელობისათვის.

დღეს აქ, მოსკოვში კუნთმაგარი და ბრგე ახალგაზრდობა, ჩვენი სახელოვანი სპორტსმენები ერთ ძმურ მრავალეროვან ოჯახში ერთი მიზნითა და სულისკვეთებით ცხოვრობენ. ცდილობენ კიდევ უფრო მასობრივი და ნამდვილად ხალხური გახადონ ფიზიკური კულტურა და სპორტი, ახალი რეკორდებით დაამშვენონ ტრადიციული დღესასწაული. წლევანდელმა სპარტაკიადამ დიდი დზა განვლო, სანამ დედაქალაქს ეწვეოდა; მოიარა ფაბრიკა-ქარხნები, სკოლები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, ამას მოჰყვა რაიონული, საქალაქო ასპარეზობები და ბოლოს სპორტსმენთა რესპუბლიკური ფორუმები. საუკეთესოთა შორის საუკეთესონი დღეს მოსკოვის სტუმრები არიან. მათს რიგებში ვხედავთ არაერთ აღიარებულ სპორტსმენს, მსოფლიოსა და ევროპის ოლიმპიურ ასპარეზობათა ჩემპიონს, რეკორდსმენს. არ შეიძლება გვერდი ავუაროთ სპორტულ მაჩვენებლებს. სპარტაკიადის დღეებში დამყარებულია სსრ კავშირის 186 რეკორდი. ეჭვგარეშეა, ფინალებს მოსკოვში არაერთი მაღალი შედეგი დაამშვენებს, ცოტა შესწორება როდი იქნება შეტანილი ევროპისა და სსრ კავშირის რეკორდების ცხრილში.

სპარტაკიადა თითქმის ორი კვირაა ეწვია მოსკოვს, მაგრამ მისი ოფიციალური გახსნის საზეიმო ცერემონიალი ხვალ შედგება ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე. მაღალ ფლაგშტოკებზე ფრიალებენ მოძმე რესპუბლიკათა სახელმწიფო დროშები, უზარმაზარი ციფრი — V გვამცნობს, თუ მერამდენედ იმართება სპორტსმენთა ეს გრანდიოზული ფორუმი. ირგვლივ ნაირფერი ალმების ტყეა. ლოზუნგები, პლაკატები, ტრანსპარანტები ჭეშმარიტად საზეიმო განწყობილებას ქმნიან. სტადიონის უზარმაზარ ეზოში გამოფენილია სპარტაკიადის ყველა სახეობაში გამორჩენილ წარმომადგენელთა ფოტოსურათები. იმათიც, ვინც ახლანდელ სპარტაკიადაზე გამოიჩინა თავი. მათ შორის არიან ჩვენი რესპუბლიკის მშვილდოსნები, ნიჩბოსნები.

და მაინც ყველაზე მთავარი თვითონ სტადიონის მოედანზე მოხდება. ამის მოწმენი იქნებიან არა მარტო ათეულათასიანი ტრიბუნები, არამედ მილიონობით ტელემაყურებლებიც.

### II.

ზეიმი ლუჟნიკში გაიხსნება 18 საათსა და 30 წუთზე მოსკოვის დროით. ამ დღის სანახაობების — მოძმე რესპუბლიკათა, აგრეთვე მოსკოვისა და ლენინგრადის სპორტსმენთა საჩვენებელი გამოსვლების, მასობრივი ტანვარჯიშისა და სპარტაკიადისადმი მიძღვნილი ბევრი სხვა ღონისძიების — გრანდიოზული რეპეტიცია გუშინ შედგა. ეს იყო მომხიბლავი სანახაობა. განსაკუთრებით თვალს იტაცებს ტანვარჯიშული მასობრივი გამოსვლები. „დიდება შრომას“ — ასეთია შრომითი რეზერვების სპორტსმენთა გამოსვლის თემა. არმიელ სპორტსმენთა გამოსვლის თემაა — „მშვიდობისა და უშიშროებისათვის“, დინამოელებისა — „ვემსახურებით სამშობლოს“. მეტად ლამაზი იქნება დღესასწაულის ფინალი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს 4 ათასამდე სპორტსმენი. მოეწყობა მძლეოსნური ესტაფეტები 4X100 და 4X400 მეტრზე, ლენინგრად-მოსკოვი მარათონული გადარბენის ფინიში. ერთბაშად რვა სახეობა — ასეთი იქნება სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის გახსნის დღეს ასპარეზობათა პროგრამა. აი ეს სახეობანი — კალათბურთი, კლასიკური ჭიდაობა, საგზატკეცილო ველორბოლა, ნიჩბოსნობა ბაიდარებითა და კანოიეთი, ჭიდაობა სამბო, სპორტული ტანვარჯიში, მძლეოსნობა, ძალოსნობა.

დღეს იუნიორმა მძლეოსნებმა ვორონეჟში აიღეს სტარტი. გ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის სარბენ ბილიკზე მძლეოსნურ სექტორებში ხვალ გამოვლენ მოზრდილები. გაიმართება ფინალური შეხვედრები ათი ათას მეტრზე რბენაში, ესტაფეტები, საკვალიფიკაციო ასპარეზობანი სამხტომში, ასპარეზობა ბადროს ტყორცნაში, ბირთვის კვრაში, 1.500 მეტრზე რბენაში, შუბის ტყორცნაში, სიმაღლეზე ხტომაში და სხვ. სულ გათამაშდება 38 მედლის კომპლექტი. ყოველდღიურად (ასეთი დღე ოთხია) მაყურებლები იხილავენ ათთხუთმეტ ფინალს. როგორც ცნობილია, სტარტზე გამოდიან მხოლოდ ოსტატები, რომლებიც უკვე ორი წლის განმავლობაში წარმატებით იცავენ ამ წოდებას. ამიტომ ლუჟნიკში მოსალოდნელია არაერთი რეკორდის დამყარება. სხვებთან ერთად მძლეოსანთა ამ დიდი ფორუმის მონაწილენი არიან ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები ვ. სანეევი, გ. გუდაშვილი და სხვები. საქართველოს მძლეოსნებისაგან წარმატებებს უნდა მოველოდეთ. მძლეოსნობა ხომ სპარტაკიადის პროგრამაში წამყვანი სახეობაა. არანაკლებ საინტერესო იქნება შეჯიბრება კლასიკურ ჭიდაობაში, სამბოში, ძალოსნობაში. აქ აღიარებული სპორტსმენები ცოტა წინააღმდეგობას როდი გაუწევენ ახალგაზრდებს, რომლებმაც უკანასკნელ წელს თავი გამოიჩინეს დიდ არენაზე. იმასაც აქვს მნიშვნელობა, რომ სპარტაკიადაზე მოპოვებული შედეგების მიხედვით იქნება დაკომპლექტებული ჩვენი ქვეყნის ნაკრები კლასიკურ ჭიდაობაში, რომელიც სექტემბრის დამდეგს სოფიაში მონაწილეობას მიიღებს მსოფლიო პირველობის გათამაშებაში.

საქართველოს მოჭიდავეებს როგორც კლასიკურ ჭიდაობაში, ისე სამბოში ჩინებული ტრადიცია აქვთ და ჩასათვლელ ქულებთან ერთად მედლებსაც უნდა მოველოდეთ. დიდი მეტოქეობაა მოსალოდნელი ძალოსნობაში. აქ ფიცარნაგზე შტანგისტები გვიჩვენებენ თავიანთ მაღალ ოსტატობას. ეჭვს გარეშეა, რომ არაერთი რეკორდი იქნება დამყარებული. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლების, პირველ რიგში შანიძისა და ჯიჯელავასაგან მაღალ შედეგებს უნდა ველოდეთ.

იუნიორები უფაში განაგრძობენ ბრძოლას. სპორტულ ტანვარჯიშში გუშინ სავალდებულო პროგრამით გამოდიოდნენ გოგონები. მაყურებლები მოხიბლა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა ნ. დრონოვამ, რომელმაც 37,75 ქულა შეაგროვა და ერთპიროვნული ლიდერია. ნ. დრონოვას უახლოეს მეტოქეს ლ. ბოგდანოვას 37,1 ქულა აქვს. გუნდურ ჩათვლაში წინ არის საქართველოს ტანმოვარჯიშეთა კოლექტივი, რომელსაც 147,25 ქულა აქვს. ლიდერს კვალში უდგას მოსკოვის ძლიერი შემადგენლობის გუნდი — 147,0 ქულა. მესამე ადგილზეა უკრაინის გუნდი — 146,4 ქულა. მომდევნო ხუთი ადგილი უჭირავს ბელორუსიის (146,05 ქულა), რსფსრ-ის (145,65 ქულა), ყაზახეთის (143,70 ქულა), ლენინგრადის (142,1 ქულა) და უზბეკეთის (141,1 ქულა) გუნდებს.

### III.

კალათბურთელებმა „წუთმესვენება“ აიღეს, დღეს ისინი მართლაც ისვენებდნენ. ბრძოლა 16 ივლისს განახლდება. ჩემპიონებსა და პრიზიორებს კი ერთი დღის შემდეგ გავეცნობით.

14 ივლისის ტურის მატჩებიდან სხვებთან ერთად გამოირჩეოდა ლატვიისა და საქართველოს გუნდების შეხვედრა. ეს თამაში ჩვენმა კალათბურთელებმა დამსახურებულად ჩაატარეს და გამარჯვებაც სავსებით კანონზომიერი იყო — 80:76 (46:37). მოსკოველებმა მოუგეს ესტონეთის გუნდს 72:65, უკრაინელებმა — ბელორუსებს 71:64.

როგორია დასკვნითი ორი ტურის წინ კალათბურთელ ვაჟთა გუნდების სატურნირო მდგომარეობა პირველ ფინალურ ჯგუფში? სამ-სამი ქულა აქვთ და ლიდერობას ინარჩუნებენ მოსკოვისა და უკრაინის გუნდები. სწორედ ეს ორი გუნდია ჩემპიონობის პრეტენდენტები. ბრინჯაოს მედლისათვის იბრძვის სამი კოლექტივი. ესენი არიან საქართველოს, ბელორუსიისა და ესტონეთის გუნდები. ლიტვის გუნდს ჯერ არცერთი ქულა არა აქვს. ქალთა გუნდების ტურნირის მორიგ შეხვედრაში ლატვიელებმა სძლიეს უკრაინელებს 64:49, რსფსრ-ის კალათბურთელებმა—ლენინგრადის ნაკრებს — 74:54. პირველი 6 ადგილისათვის მებრძოლ გუნდებს შორის ოქროს მედლის კანდიდატია ლატვიის ქალთა გუნდი, რომლის აქტივშია სამი ქულა. ორ-ორი ქულა აქვთ რსფსრ-ისა და ლენინგრადის გუნდებს, თითო ქულა — უკრაინისა და ლატვიის კოლექტივებს. ჯერჯერობით ფინალურ ჯგუფში ჯერ არც ერთი ქულა არა აქვთ საქართველოს კალათბურთელ ქალებს.

მაშ ასე. 16 ივლისს დიდი სტარტია დიდი დღესასწაულისა!

ვ. გაბელია.

## ფეხბურთის ამბები

გუშინ „კაირატსა“ და ლვოვის „კარპატის“ მეორე წრის პირველი მატჩი ჰქონდათ ალმა-ატაში. თამაში დამთავრდა ფრედ — 2:2.

დღეს მოსკოვის ცენტრალურ სტადიონზე ლუჟნიკში ქვეყნის ჩემპიონი ცსკა მიიღებს გათამაშების ლიდერს კიევის „დინამოს“.

გეტებორგი. საბჭოთა კავშირის ოლიმპიურმა ნაკრებმა მეორე ამხანაგური მატჩი გამართა შვეციაში — გეტებორგის „ალიანსენთან“. ანგარიში მე-13 წუთზე გახსნა პორტუგალიელმა ეისებიომ, რომელიც სამი დღის წინათ ჩვენი გუნდის წინააღმდეგ თამაშობდა მალმეს გუნდში. 23-ე წუთზე მინსკელმა დინამოელმა ა. ვასილიევმა წონასწორობა აღადგინა, ხოლო ფინალურ სასტვენამდე 3 წუთით ადრე „ზენიტის“ მოთამაშემ ვ. ბულავინმა საბჭოთა გუნდს გამარჯვება მოუტანა — 2:1.

რიო-დე-ჟანეირო. მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა ბრაზილიის ნაკრებმა აქ ამხანაგურ მატჩში დაამარცხა ჩეხოსლოვაკიის გუნდი. ერთადერთი ბურთი მე-14 წუთზე გაიტანა ტოსტაომ.

## ჭადრაკის მერიდიანებზე



გუშინ მოსკოვის ლიტერატორთა ცენტრალურ სახლში გაიმართა მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტთა ტ. პეტროსიანისა და ვ. კორჩნოის ნახევარფინალური მატჩის მეექვსე პარტია. თეთრებით თამაშობდა ვ. კორჩნოი.

პარტიაში გათამაშდა ახალი ინდური დაცვა, რომელიც კლასიკური ვარიანტის სახელითაც არის ცნობილი. დაფაზე დებიუტიდანვე მწვავე ბრძოლა გაჩაღდა და შეიქმნა რთული პოზიცია.

პარტია გადაიდო. 42-ე სვლაზე, მსოფლიოს ექს-ჩემპიონს ტ. პეტროსიანს ზედმეტი პაიკი აქვს.

გადადებული პარტიის დამთავრება მოეწყობა დღეს.

დენვერი. დანიელი ბენტ ლარსენის ავადმყოფობის გამო ჭადრაკში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩის მისი მეხუთე პარტია რობერტ ფიშერთან ხუთშაბათს 15 ივლისს არ გაიმართა. მეტოქენი კვლავ შეხვდებიან ერთმანეთს კვირას ან სამშაბათს. ამას იუწყება დეპეშით ასოშიეიტედ პრესის სააგენტო, რომელიც იმოწმებს მატჩის არბიტრს პაულ კლეინსა (ეკვადორი) და ექიმს რობერტ ჯონსტონს. რა ავადმყოფობა აქვს ლარსენს, ამაზე არაფერს იუწყებიან.

პუერტო-რიკო. სტუდენტ მოჭადრაკეთა მსოფლიო გუნდურმა ჩემპიონატმა, უკვე მეცამეტედ, გამარჯვება მოუტანა ჩვენს ნაკრებ გუნდს. საბჭოთა კავშირის სტუდენტ მოჭადრაკეთა გუნდი გამოდის პუერტო-რიკოს ქალაქ მაიაგუესში და ჯერ კიდევ „მცირე მსოფლიო ოლიმპიადის“ ფინიშამდე ერთი ტურით ადრე გაინაღდა პირველობა — 26 ქულა მოაგროვა.

ამსტერდამი. მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ვასილ სმისლოვი ლიდერობს „იბმ“ საერთაშორისო ტრადიციული საჭადრაკო შეჯიბრების ორი ტურის შემდეგ. პირველ ტურში მან დაამარცხა სვეტოზარ გლიგორიჩი (იუგოსლავია), ხოლო მეორეში — ჰოლანდიელი რობ ჰარტოგი. პაულ კერესმა ორივე სასტარტო შეხვედრა ყაიმით დაამთავრა: პირველად ჰანს რეესთან (ჰოლანდია), ხოლო შემდეგ ვოლფგანგ ულმანთან (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა).





## მოფარიკავეთა ასპარეზობაზე

ვენის „შტადჰალეს“ დარბაზში ფინიში აქვს მოფარიკავეთა მსოფლიო ჩემპიონატს. დარჩა მხოლოდ ორი სახეობის ორთაბრძოლები — გუნდური შეჯიბრებები რაპირისტ ქალთა და დაშნით მოფარიკავე ვაჟთა შორის. საბჭოთა ქალთა გუნდი ნახევარფინალში შეხვდა პოლონეთის მოფარიკავეებს და გაიმარჯვა. ფინალში გავიდა აგრეთვე უნგრეთის ნაკრები, რომელმაც დაამარცხა იტალიის გუნდი. გუშინ გვიან ღამით შედგა სსრ კავშირისა და უნგრეთის სპორტსმენთა ფინალური ორთაბრძოლა. აღსანიშნავია, რომ უკვე მრავალი წელია ამ ასპარეზობაში სწორედ ამ ორი ქვეყნის მოფარიკავეთა გუნდები უწევენ ერთმანეთს მეტოქეობას ოქროს მედლისათვის ბრძოლაში.

დღეს ოქროს მედლისათვის ბრძოლას დაამთავრებენ დაშნით მოფარიკავე გუნდები და ასპარეზობაც დაიხურება.

## ტელევიზია

16 ივლისი

პირველი პროგრამით

11.00 — აჭარის ასსრ 50 წლისთავისადმი მიძღვნილი გადაცემა. ტრანსლაცია ბათუმიდან, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — განცხადებები, 18.15 — ბავშვებისათვის — „ჯადოსნური სალებავი“, 18.50 — კინოჟურნალი — „საბჭოთა კინო“, 19.00 — „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებანი მოქმედებაში“. „ტყე შეუნახეთ შვილებსა“, 19.20 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 19.30 — ფერადი ტელევიზიის პროგრამა. საბჭოთა კავშირის ხალხთა მეხუთე სპარტაკიადის საზეიმო გახსნა (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.30 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე. ცსკა — „დინამო“ (კიევი) (გადმოცემა მოსკოვიდან). შესვენების დროს „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 22.15 — აჭარის ასსრ 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომის რეპორტაჟი (ვიდეოჩანაწერი).

მეორე პროგრამით

19.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. კინოდოკუმენტალისტის თვალით, დოკუმენტური ფილმი — „ერთი წერილის კვალდაკვალ“, 19.30 — ქართული მხატვრული ფილმი „დარიკო“.

17 ივლისი

პირველი პროგრამით

09.30 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 11.00 — მხატვრული ფილმი — „ცის ნელმავალი“, 12,10—კინონარკვევი, 12.30 — უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია ფიზიკაში, 13.15 — დოკუმენტური ფილმი — „400 ბიოგრაფია“, 14.00 — საესტრადო პროგრამა, 14.30 — დოკუმენტური ფილმი „ბალადა ჩვენს თანამედროვეზე“ (ქართულ ენაზე), 15.25 — „ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა, 15.45 — კინოპროგრამა, 16.10 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.00 — ახალი ამბები, 17.05 — პროგრამა ბავშვებისათვის. „ცეროდენას ეკრანი“, 17.35 — „უფროსების მხარდამხარ“, 18.05 — გადაცემა — „ვაჟა-ფშაველას მხატვრული ხილვები ეკრანზე“, 18.55 — საბჭოთა კავშირის ხალხთა მეხუთე სპარტაკიადის დღიური, 19.05 — საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების ხალხთა მეხუთე სპარტაკიადა (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.00 — „ქართული მელოდიები“. საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის საესტრადო ორკესტრის კონცერტი (გადაცემა თბილისიდან ცენტრალური ტელევიზიისათვის), 20.30 — „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებანი მოქმედებაში“. გადაცემა — „მეხუთე დღე“, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა.

**რა ვნახოთ. რა მოვისმინოთ**

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.


კომუნისტი

380008 თბილისი-8, ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეები — 99-93-08, 99-03-09, პ/მ მდივანი — 99-72-80, სამდივნო — 99-66-10, განყოფილებები: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-84, სოფლის მეურნეობის — 99-62-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-14-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-72-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები